

# ყარაბაღის მეორე ომის გავლენები საქართველოს არაღმთინანსებურ ეთნიკურ ჯგუფებზე



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

ყარაბაღის მეორე ომის გავლენები საქართველოს  
არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებზე

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2021



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Federal Department of Foreign Affairs FDFA



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

კვლევის ორგანიზება შესაძლებელი გახდა პროექტის „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის და უფლებების დაცვის გაძლიერება კვლევის, განათლების, ადვოკატირების და ნდობის მშენებლობის გზით“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი) ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ სოციალური სამართლიანობის ცენტრის (ყოფილი EMC) პასუხისმგებლობაა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის პოზიციებს.

**კვლევის ავტორი:** ქამრან მამედლი, კონსტანტინე ჩაჩიბაია, ტიგრან თარზიანი

**ხელმძღვანელი:** თამთა მიქელაძე

**რედაქტორი:** ნინო ხიდიშელი

**ყდის დიზაინი:** სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	4
საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ მოკლე ინფორმაცია.....	5
საქართველოს სომეხი თემი .....	5
საქართველოს აზერბაიჯანელი თემი.....	8
მეზობელი ქვეყნების ნარატივები და მთიანი ყარაბაღი.....	11
აზერბაიჯანის სახელმწიფოს ხედვა .....	11
სომხეთის ხედვა .....	15
საქართველოს პოზიცია ყარაბაღის მეორე ომთან მიმართებით .....	19
საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების და სომხების განწყობები .....	23
საქართველოს აზერბაიჯანელების განწყობები .....	23
საქართველოს სომხების განწყობები .....	29
შერეულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განწყობები.....	35
შეჯამება და რეკომენდაციები.....	37

## შესავალი

2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოებს შორის ყარაბაღის მეორე ომი დაიწყო. კონფლიქტი 44 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო ძალების მიერ ქალაქ შუშის აღების შემდეგ, 2020 წლის 10 ნოემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, სომხეთის პრემიერ-მინისტრის და რუსეთის პრეზიდენტის სამხსრივ შეთანხმებაზე ხელმოწერით დასრულდა. აღნიშნულმა ომმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებზე, არამედ მთლიანად რეგიონზე და რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსზე.

ყარაბაღის მეორე ომის გავლენებზე საუბრისას, ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს კონტექსტი. საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი თემი, ეთნიკური ქართველების შემდეგ, ქვეყნის ყველაზე დიდ ორ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და ზოგიერთ რეგიონში შერეულად, საერთო მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ცხოვრობენ. კონფლიქტის მიმართ ამ ჯგუფების მედეგობაზე არსებით გავლენას ახდენს საქართველოში სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ფრაგმენტულობა და ზედაპირულობა, და ასევე, ის ინსტიტუციური, სისტემური ადმინისტრაციული და სოციალური ბარიერები ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე, რის გამოც ეს ჯგუფები სრულყოფილად ვერ ახერხებენ საქართველოს საჯარო და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას. ადგილობრივ დონეებზე კიდევ უფრო სუსტია ინტერ-ეთნიკური-რელიგიური დიალოგისა და თანამშრომლობის, გაზიარებული სოციალური პრაქტიკების გამოცდილება.

ხაზგასასმელია, რომ ყარაბაღის მეორე ომის მიმდინარეობის დროს, საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელმა და სომეხმა თემმა არაერთხელ გამართა აქციები და დემონსტრაციები ომის მონაწილე ქვეყნების მხარდასაჭერად. საქართველოს მოქალაქეებს, აღნიშნული ომის მიმდინარეობის დროს, მათი ეთნიკური კუთვნილებიდან გამომდინარე, ყარაბაღში საბრძოლველად წასვლის სურვილიც ჰქონდათ. ვრცელდებოდა ინფორმაცია ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებების ცალკეული გამოცდილებების შესახებ საქართველოში. ამასთანავე, სოციალურ ქსელებში ხშირად გვხვდებოდა საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და სომეხებს შორის კამათი და შეურაცხმყოფელი კომენტარები ომის თემაზე. ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების კონფლიქტური პოზიციები მეტწილად ომის თემას მიემართებოდა და ჩანდა ჭარბი იდენტიფიკაცია თუ ემოციური ჩართულობა მეზობელი ქვეყნის პოლიტიკაში. ამის პარალელურად ამ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების სამეტყველო ენაში აშკარა იყო ხაზგასმა საქართველოსთან მათი კავშირისა და მოქალაქეობის ფაქტორზე, რომელიც მათ საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობის დაცვის სტრატეგიებისკენ და გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს საქართველოს მოქალაქეებზე ყარაბაღის ომის გავლენები. უნდა ითქვას, რომ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში ჩატარდა ოცზე მეტი სიღრმისეული ინტერვიუ საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი თემის წევრებთან. კვლევის ავტორები აკვირდებოდნენ სოციალურ ქსელებში, საჯარო და დახურულ ჯგუფებში მიმდინარე დისკუსიებს. ამასთანავე დოკუმენტის მომზადების დროს გაანალიზდა ადგილობრივი, ცენტრალური და მეზობელი ქვეყნების მედიასაშუალებებით გავრცელებული საინფორმაციო და ანალიტიკური მასალა.

დოკუმენტი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან. პირველ ნაწილში შემოთავაზებულია ზოგადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი თემის შესახებ. მეორე ნაწილში აღწერილია აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების ნარატივები ყარაბაღის გარშემო. მესამე ნაწილში მოცემულია საქართველოს პოზიცია და მისი შეფასება, როგორც მეზობელი ქვეყნების მხრიდან, ისე საქართველოს მოქალაქე არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პერსპექტივიდან. მეოთხე ნაწილში წარმოჩენილია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ჯგუფების განწყობები ყარაბაღის ომის გარშემო. ბოლო, დასკვნით ნაწილში, წარმოდგენილია რეკომენდაციები არსებული სიტუაციის შესაცვლელად.

დოკუმენტი სამუშაო ანგარიშია და მისი მიზანია საკვლევ საკითხზე პირველადი ტენდენციების და დინამიკის წარმოჩენა.

## საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ მოკლე ინფორმაცია

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე ყარაბაღის მეორე ომის გავლენებზე მსჯელობისას, უშუალოდ ომის მიმდინარეობის პერიოდის განხილვამდე, მნიშვნელოვანია ქართული კონტექსტის მცირე მიმოხილვა. კერძოდ, როგორია იმ ეთნიკური ჯგუფების განსახლების არეალი, რომლებზეც ომმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს; როგორია მათი ისტორიული თუ კულტურული კავშირები საქართველოსთან და ყარაბაღის ომში ჩაბმულ ქვეყნებთან და რამდენად წარმატებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ინტეგრაციის პოლიტიკა ამ ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

საქართველოში სომეხი და აზერბაიჯანელი თემები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ. ისტორიული პროცესების განვითარება კავკასიაში ხშირად წარმოშობდა მიგრაციულ ნაკადებს, რის გამოც სხვადასხვა ეთნოსის განსახლების არეალი ხშირად მოიცავდა იმ ტერიტორიებს, რომლებიც ამჟამად სამი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს სახით არის წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში.

### საქართველოს სომეხი თემი

დღესდღეობით სომეხები ყველაზე კომპაქტურად სამცხე-ჯავახეთში არიან დასახლებულნი, თუმცა ისინი აქტიურად არიან წარმოდგენილები თბილისსა და ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში. ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მათი კონცენტრაცია განსაკუთრებით მაღალია და ახალქალაქში ისინი მოსახლეობის 94%, ხოლო ნინოწმინდაში 96% შეადგენენ.<sup>1</sup> სომხური ისტორიული დასახლებები არსებობდა კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. ამჟამად აღნიშნულ ტერიტორიებზე სომეხები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ. ჯავახეთის გარდა, სომხების დასახლების მნიშვნელოვან ადგილად რჩება თბილისი, ქალაქი, რომელსაც წლების განმავლობაში არაერთი სომეხი ქალაქის თავი (მერი) მართავდა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, სომხები საქართველოს მოსახლეობის 4.5% შეადგენენ.<sup>2</sup> ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირებულია 1989 წლის მონაცემებთან

<sup>1</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. ხელმისაწვდომია: <http://census.ge/>

<sup>2</sup> იქვე.

შედარებით, როცა ისინი მოსახლეობის 8.1%-ს შეადგენდნენ, ხოლო 2002 წლის აღწერის თანახმად სომხების პროცენტული წილი საქართველოს მოსახლეობაში 5.7% იყო.<sup>3</sup>

სომხური თემის შემცირებას საქართველოში რამდენიმე მიზეზი აქვს. 90-იან წლებში საქართველოში არსებული სოციალური კატაკლიზმებისა და უმუშევრობის პირობებში უამრავმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა შრომითი მიგრაციის გამო. ჯავახეთში მაცხოვრებელი სომხებისთვის რუსეთში სეზონურ სამუშაოზე წასვლა კვლავაც შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩება.<sup>4</sup> შრომითი მიგრაციის პროცესთან ერთად, სომხური თემის შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზია 90-იანი წლების ეთნო-ნაციონალისტური რიტორიკა და შოვინიზმი, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელი იყო. აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება გვარის გადაკეთების მანკიერი პრაქტიკა, რითაც ეთნიკური უმცირესობები ცდილობდნენ აერიდებინათ შოვინისტური დამოკიდებულება და დევნის საფრთხე. არაკეთილმოსურნე ატმოსფეროს ჩამოყალიბება ყველა არაქართულ ეთნიკურ ჯგუფს, მათ შორის სომხებსაც უბიძგებდა უსაფრთხოების გამო დაეტოვებინათ მშობლიური საცხოვრებელი ადგილი.<sup>5</sup>

ელუარდ შევარდნაძის მმართველობის პირობებში ეს ღია შოვინისტური დამოკიდებულებები შეწყდა, თუმცა კულტურული და პოლიტიკური ინტეგრაცია კვლავ მიუღწეველი დარჩა. ჯავახეთის მხარე სამართავად მინდობილი იყო ცენტრის მიმართ ლოიალური, ნახევრად კრიმინალური ჯგუფებისთვის, რომლებიც სრულად აკონტროლებდნენ რეგიონს. ამ ვითარებამ გაზარდა სომხური თემის იზოლაცია სამცხე-ჯავახეთში.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირობებში დაწყებულმა მოდერნიზაციის პროექტმა გარკვეული პოზიტიური დინამიკა შეიტანა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, თუმცა თავდაპირველად ჯავახეთში დაპირისპირების საფრთხეებიც წარმოიშვა.<sup>6</sup>

საბოლოოდ, სააკაშვილის მმართველობის პირობებში შედარებით გაიმართა ცენტრსა და ჯავახეთს შორის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა, განათლების სფეროში დაინერგა 1+4 საშუავათო სასწავლო პროგრამა სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ახალგაზრდებისთვის. პროგრამამ სომეხ ახალგაზრდებს გაუმარტივა შესაძლებლობა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მიეღოთ განათლება და შეესწავლათ სახელმწიფო ენა. მიუხედავად ამისა, რეგიონის მართვა კვლავაც ნახევრად ფორმალურად, კლანური პრინციპების მეშვეობით ხდებოდა, დემოკრატიის და ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის გარეშე.

განათლების სისტემის ჩავარდნის ფონზე მხოლოდ 1+4 პროგრამა ვერ ასრულებს სრულფასოვანი ინტეგრაციის ფუნქციას. ზოგადი განათლების სისტემაში უამრავი პრობლემის გამო ბევრი მოსწავლე ვეღარ ახერხებს მიაღწიოს 1+4 პროგრამაში მონაწილეობას.<sup>7</sup>

<sup>3</sup> კომახია მ. ეთნიკური რუკის ფორმირება საქართველოში. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18103/1/EtnikuriRukisFormirebaSaqartveloshi.PDF>

<sup>4</sup> ტარზიანი ტ. ჩაჩიბაია კ. „ათასობით ადამიანი ჯავახეთიდან საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოლოდინში“. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/atasobit-adamiani-javakhetidan-sakartvelo-mokalakeobis-aghdenis-molodinski>

<sup>5</sup> Zaal Anjapadze, How Emigration Affects Georgia <https://jamestown.org/program/how-emigration-affects-georgia/>

<sup>6</sup> ველი მატეუ ს. „სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში:სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები“. ხელმისაწვდომია: <https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhetish-regionshi.pdf>

<sup>7</sup> დალაქიშვილი მ. ირემაშვილი ნ. „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BIvhyx>

საქართველოს მოქალაქე სომხები სკოლებში ძირითადად სომხეთის რესპუბლიკაში მომზადებული წიგნებით სწავლობენ, რადგან საქართველოში შექმნილი, დაწერილი ორენოვანი წიგნები არასრულყოფილია და ვერ ასრულებენ საკუთარ ფუნქციას. ამას ემატება მასწავლებლების მხრიდან ქართული ენის არცოდნა და ზოგადად კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირე. ეს საკითხი კიდევ უფრო კრიტიკულად დგას ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში. ეთნიკური უმცირესობების განათლების მიმართულებით რეალურად პრობლემაა, არა მხოლოდ ქართული ენის სწავლება, არამედ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და თანასწორობა, რაც ეთნიკურ უმცირესობებს განვითარების შესაძლებლობებს უზღუდავს და სოციალური თუ ეკონომიკური უთანასწორობის სტრუქტურულ ფაქტორებს ქმნის<sup>8</sup>.

იკვეთება სხვა პრობლემაც. კერძოდ, ის ახალგაზრდები, რომლებიც გადიან მათთვის გამოყოფილ ინტეგრაციის ერთადერთ ზემოაღნიშნულ ბილიკს, მათი დასაქმების შესაძლებლობები მიზერულია, მათ შორის საჯარო დაწესებულებებში. მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმება ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში ნეპოტიზტური და პარტიული გავლენებით წყდება. ზოგადად ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობებისთვის არ არსებობს სპეციალური მხარდამჭერი ზომები დასაქმების პროცესში,<sup>9</sup> რაც განათლებული ახალგაზრდების ახალი ტალღისთვის საკუთარი რესურსების გამოყენებას შეუძლებელს ხდის. ეს კი თავის მხრივ ხდება სოციალური იმედგაცრუების და ფრუსტრაციის მიზეზი.<sup>10</sup> სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილმდებარეობა და სოფლების გეოგრაფიული განფენილობა, ასევე მკაცრი კლიმატური პირობები და ჩამორჩენილი სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც რეგიონის ბუნებრივ ასიმეტრიას ვერ აკომპენსირებს, რეგიონის ეკონომიკურ პერიფერიალიზაციას იწვევს და ადგილობრივების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს ასუსტებს.

ამ პირობებში ადგილობრივი თემისთვის გამოსავალი სომხეთსა და რუსეთში მიგრაცია და სეზონური სამუშაოებით საკუთარი თავის გადარჩენაა. აღნიშნულ პროცესს ჯავახეთში „ხოპანს“ ეძახიან. მიგრაციის პროცესი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეფერხდა და აუცილებელი გახდა რუსეთის ვიზის მიღება. ამის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სომხეთის და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. 2013 წლის რეფორმის შემდეგ, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებს საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად დაეკარგათ. მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა უცნობია. ადგილობრივების მიხედვით, ჯავახეთში ათი ათასზე მეტი ადამიანია ასეთ მდგომარეობაში<sup>11</sup>. აღნიშნული რეალობა ორმაგ გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობისთვის. ერთი მხრივ, მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა ბაზისური პროგრამებით და სერვისებით ვერ სარგებლობს (საყოველთაო ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და ა.შ.), მეორე მხრივ კი, აღნიშნულის გამო რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აკავშირებენ და ჯავახეთი გადაჭარბებული გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების პერსპექტივით სპეკულირების საგანი ხდება.

<sup>8</sup> იქვე

<sup>9</sup> წურწუშია ე. ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/373waDM>

<sup>10</sup> გაბრიელაშვილი მ. იმედგაცრუებული და არაღიარებული ახალგაზრდები ეთნიკური უმცირესობების თემებიდან. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/imedgatsruebuli-da-araghiarebuli-akhalgizrdebi-etnikuri-umtsiresobebis-temebidan>

<sup>11</sup> ათასობით ადამიანი ჯავახეთიდან საქართველოს მოქალაქეობის ადღგენის მოლოდინში

<https://socialjustice.org.ge/ka/products/atasobit-adamiani-javakhetidan-sakartvelos-mokalakeobis-aghdgenis-molodinshi>



უსაფრთხოების პრიზმა ართულებს ამ რეგიონის გამოწვევების სწორ პრობლემატიზირებას და რეგიონში რეალური დემოკრატიული პროცესების წახალისებას.

საქართველოში არმენოფობიის პრობლემას, რომელიც ხშირად ვლინდება ცალკეული პირების განცხადებებში, გამრიყავი გავლენა აქვს ინტეგრაციის პროცესზე<sup>12</sup>. მედიის განვითარების ფონდის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ გამოვლენილი სიძულვილის ენის შემთხვევებს შორის არმენოფობია ყველაზე მეტადაა გავრცელებული (13.2%).<sup>13</sup> სამწუხაროდ, ამ განწყობებს სახელმწიფო ხელისუფლება არ უპირისპირებს თანასწორობაზე დაფუძნებულ რიტორიკასა და საინფორმაციო პოლიტიკას, რაც სიძულვილის ენის ნეგატიურ შედეგებს ზრდის და ასუსტებს სოციალურ შეჭიდულობას.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთის რეგიონში მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული პრობლემებიც. სოფლებში, სადაც საქართველოს სომხური თემი ცხოვრობს მკვეთრად სუსტია სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა.<sup>14</sup> სოფლების მნიშვნელოვან ნაწილში პრობლემურია ბუნებრივი აირის, სასმელი წყლის, გზების და ა.შ. ხელმისაწვდომობის საკითხიც. ამ ყველაფერთან ერთად, ჯავახეთის რეგიონი გამოირჩევა პოლიტიკური კლანების გადაჭარბებული ძალაუფლებითა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების პრობლემური მუშაობით. მაგალითად, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა პოლიტიკური ბატალიების გარეშე ჩაიარა, - ნინოწმინდის რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში მმართველი პარტიის კანდიდატი კონკურენტების გარეშე მონაწილეობდა არჩევნებში.<sup>15</sup>

## საქართველოს აზერბაიჯანელი თემი

საქართველოში, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფს აზერბაიჯანელებად მოვიხსენიებთ ხოლმე, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზერბაიჯანელად მოხსენიება, თავად ამ ჯგუფის წევრების მხრიდანაც გაკრიტიკებულია და არასასურველად მიიჩნევა. აზერბაიჯანელების განსახლების ერთადერთ არეალს ქვემო ქართლი არ წარმოადგენს, ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში და არაკომპაქტურად (თუ არ ჩავთვლით ფონიჭალის დასახლებას), მაგრამ არც ისე მცირე რაოდენობით თბილისშიც. 2014 წლის აღწერის თანახმად, აზერბაიჯანელები საქართველოს მოსახლეობის 6.2%-ს შეადგენენ და ეთნიკური ქართველების შემდეგ, საქართველოს ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.<sup>16</sup> 1989 წლის მონაცემებით ისინი საქართველოს

<sup>12</sup> არმენოფობია: „ქსენოფობიის უძველესი ფორმა“ საქართველოში <https://oc-media.org/armenophobia-ksenopobiis-udvelesi-porma-sakartveloshi/>

<sup>13</sup> 2020 წლის ანგარიში „სიძულვილის ენა“ <https://mdfgeorgia.ge/uploads/Sidzulvilisena2021.pdf>

<sup>14</sup> სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020-2021. [https://smr.gov.ge/uploads/Files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti\\_2\\_-\\_samoqmedo\\_gegma.pdf](https://smr.gov.ge/uploads/Files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_2_-_samoqmedo_gegma.pdf)

<sup>15</sup> არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში - ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი <https://socialjustice.org.ge/ka/products/archevnebi-etnikuri-umtsiresobebis-regionebshi-dziritadi-tendentsiebis-da-praktikebis-analizi>

<sup>16</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. ხელმისაწვდომია: <http://census.ge/>

მოსახლეობის 5.7% შეადგენდნენ.<sup>17</sup> ამ პროცენტულმა მონაცემებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, რადგან სინამდვილეში ამ დროის მონაკვეთში აზერბაიჯანული მოსახლეობის ცალსახად ზრდის დინამიკა არ გვექონია. 90-იან წლებში აზერბაიჯანელები მეორე, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი იყო, რომელმაც მასშტაბურად დატოვა ქვეყანა. მათზე დიდი რაოდენობით საქართველო მხოლოდ სლავებმა დატოვეს.<sup>18</sup>

ქვემო ქართლში მცხოვრებ მოსახლეობას ახსოვს ეთნიკური კონოტაციის დაძაბულობები და კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რასაც უმოქმედობით და ზოგჯერ კი აქტიური მოქმედებით ახალისებდნენ ეროვნული მოძრაობის წევრები. შოვინისტურ მოქმედებებს და ლოზუნგებს ძირითადად ზვიად გამსახურდიას მიაწერენ ხოლმე, მაგრამ ამ კუთხით არანაკლებ და ზოგჯერ უფრო მეტადაც კი სცოდავდნენ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები. ცნობილ რეფრენად შემორჩა „საქართველოს ეროვნული სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარის, ნოდარ ნათაძის მიერ 1989 წელს, ქვემო ქართლში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, სახალხო ფრონტის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებიც: „მსხვერპლი არ არის, მოკლულია ორი თათარი“. „თათარი“ ის სიტყვაა, რომელსაც უარყოფითი, დამამცირებელი მნიშვნელობით იყენებენ საქართველოს აზერბაიჯანელების მიმართ. ბუნებრივია, ამგვარი სოციალური გარემო საქართველოს აზერბაიჯანელების ინტეგრაციას ართულებს.

შოვინისტური განწყობები საქართველოს აზერბაიჯანელების მიმართ დროშიც გამოჩნდა. მაგალითად, 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის პირველი ეტაპზე თვალშისაცემი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ სიძულვილის ენის მასობრივი გავრცელება სოციალურ ქსელებში, რომელშიც კულტურის სფეროს ცალკეული მოღვაწეებიც ჩაერთვნენ. საქართველოს მთავრობის მიერ დავით-გარეჯის საკითხის აქტუალიზებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების პარალელურად, საქართველოს აზერბაიჯანელები, აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ერთად, საქართველოს მტრად სახელდებოდნენ საზოგადოებრივ განხილვებშიც.<sup>19</sup>

პრობლემური განწყობებისა და რიტორიკის მიღმა, ინტეგრაციის შესაძლებლობებს ართულებს სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკა უმცირესობების მიმართ. განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას განათლების სისტემაში არსებულ სისტემურ ხარვეზებს: უხარისხო სახელმძღვანელოები, დაბალკვალიფიციური მასწავლებლები და ზოგადად კადრების სიმცირე; სოფლის სკოლებში მოშლილი ინფრასტრუქტურა, ენობრივი ბარიერი, რომელიც ამ მიმართულებით წინსვლის შესაძლებლობებს არ ქმნის.<sup>20</sup>

1+4 საშეღვათო პროგრამამ, საქართველოს სომეხი ახალგაზრდების მსგავსად, აზერბაიჯანელებსაც მისცა მცირე შესაძლებლობა ინტეგრაციისთვის, თუმცა მათ შემთხვევაშიც დასაქმების შესაძლებლობა დახურულია იმავე ნეპოტისტური და კლანური სისტემის გამო ადგილობრივ თვითმმართველობებსა და საჯარო უწყებებში. ამას ემატება ასევე ზოგადად

---

<sup>17</sup> კომახია მ. ეთნიკური რუკის ფორმირება საქართველოში. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18103/1/EtnikuriRukisFormirebaSaqartveloshi.PDF>

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> 2020 წლის ანგარიში „სიძულვილის ენა“ <https://mdfgeorgia.ge/uploads/Sidzulvilisena2021.pdf>

<sup>20</sup> დალაქიშვილი მ. ირემაშვილი ნ. „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f2ZiPP>

ნეგატიური დამოკიდებულება ეთნიკური კუთვნილებიდან გამომდინარე, რასაც აღნიშნავენ თავად აზერბაიჯანელები.<sup>21</sup>

საქართველოს სახელმწიფოს ჩავარდნილ ინტეგრაციულ პოლიტიკას, კულტურულ დომინაციას და აზერბაიჯანული კულტურის კვალის წაშლას ქვემო ქართლში,<sup>22</sup> ემატება ისიც, რომ მთლიანად პოლიტიკურ სპექტრში<sup>23</sup> არ არსებობს მკაფიო ხედვა და სრულფასოვანი აღქმა ამ ეთნიკურ ჯგუფებში მიმდინარე პროცესების, მათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ.<sup>24</sup>

ინტეგრაციის პოლიტიკის სისუსტეებზე მსჯელობის დროს, საქართველოს მედიასივრციდან ეთნიკური უმცირესობების არსებითი გათიშულობის საკითხიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ISSA-ის 2018-2019 წლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეები ხშირად მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს აკვირდებიან.<sup>25</sup> შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების 80%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების 70% არ ფლობს სახელმწიფო ენას.<sup>26</sup> ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ხაზი სწორედ რომ ეროვნული უმცირესობების საინფორმაციო საჭიროებების დაკმაყოფილებაა. თუმცა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პანდემიის პირობებშიც კი, ვერ ახერხებდა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების სრულფასოვან ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.<sup>27</sup> აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, როგორც ქვემო ქართლში, ასევე სამცხე-ჯავახეთშიც, ადგილობრივმა მედიაორგანიზაციებმა უმცირესობების ენაზე დაიწყეს ინფორმაციის გავრცელება. მცირე გამონაკლისების გარდა, აღნიშნული ორგანიზაციების დიდი ნაწილის ძირითადი შემოსავლები მეზობელ ქვეყნებს უკავშირდება.

მეზობელი ქვეყნების გავლენებზე საუბრის დროს განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აზერბაიჯანის სახელმწიფოს გავლენები ქვემო ქართლის რეგიონში. 2019 წლის სტატიაში,

---

<sup>21</sup>გაბრიელაშვილი, მ. „იმედგაცრეუბული და არაღიარებული ახალგაზრდები ეთნიკური უმცირესობების თემებიდან“ <https://socialjustice.org.ge/ka/products/imedgatsruebuli-da-araghiarebuli-akhalgazrdebi-etnikuri-umtsiresobebis-temebidan>

<sup>22</sup> არჯევანიძე ნ. „კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BOqBag>

<sup>23</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებები პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში - 2020. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-uflebebi-partiebis-tsinasaarchevno-khedvebshi-2020>

<sup>24</sup> მამედლი ქ. „არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციებში“. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/aradominanturi-etnikuri-jgufebis-politikuri-monatsileobis-sakitkhi-sakartvelos-konstitutsiebshi>

<sup>25</sup> ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/publication/etnikuri-umtsiresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/>

<sup>26</sup> მოსახლეობის განაწილება რეგიონების, მშობლიური ენისა და ქართული ენის ცოდნის მიხედვით. ხელმისაწვდომია: <https://smr.gov.ge/ge/page/33/demografiuli-statistika>

<sup>27</sup> ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია: ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kZqJhe>

საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი აქტივისტები საუბრობენ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის, „სოკარის“ ნეგატიურ გავლენებზე და პირდაპირ ჩარევებზე ქვემო ქართლში დემოკრატიული პროცესების დამაზიანებლად.<sup>28</sup> აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი აქტივისტები აზერბაიჯანის სახელმწიფოს გავლენების გაზრდაში საქართველოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობასაც ხედავენ, რადგანაც საქართველო თავის მოქალაქეებს მეზობელი ქვეყნების გავლით ხედავს. ამის თვალსაჩინო მაგალითიც 2021 წელს დმანისში გამოვლენილი ეთნიკური კონოტაციის მქონე კონფლიქტზე<sup>29</sup> კომენტარებისას, საქართველოს შსს მინისტრის აზერბაიჯანისა და საქართველოს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობაზე მინიშნება იყო.<sup>30</sup> საქართველოს აზერბაიჯანელი თემის მეზობელი ქვეყნის ნაწილად და უცხო დანახვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს, 2021 წლის დასაწყისში მარნეულის სოფელ მეორე ქესალოში ადგილობრივების, მარნეულის და ჯუჯაბის ეპარქიის სასულიერო პირს შორის დაპირისპირება. ამ დროს სასულიერო პირმა ადგილობრივ აზერბაიჯანელ მოსახლეობას მიმართა, რომ მათი მიწა წითელი ხიდის მეორე მხარესაა.<sup>31</sup>

## მეზობელი ქვეყნების ნარატივები და მთიანი ყარაბაღი

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის გამოცდილებების და ყოფის მოკლე აღწერა გვეხმარება, დავინახოთ ის არხები (განათლების სისტემა, მედიასივრცე და ა.შ.), რომელთა მეშვეობითაც მეზობელი ქვეყნების ნარატივების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოქალაქეებამდე აღწევს. ამასთანავე, აღნიშნული აჩვენებს კონკრეტული ინტერვენციების საჭიროებას, რომლებიც ამ ნარატივებს ჩაანაცვლებდა საქართველოს მოქალაქეების წარმოდგენებში და ცხოვრებაში. არსებულ რეალობაში, აუცილებელია, ამ ნარატივების გაცნობა და მათი გაანალიზება.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს ხედვა

აზერბაიჯანულ ნარატივში მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია. 1989 წელს თურქულ ტელევიზიასთან ინტერვიუში, ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ქალბატონი ყარაბაღს

---

<sup>28</sup> Georgians allege Azerbaijan interfering in their local elections <https://eurasianet.org/georgians-allege-azerbaijan-interfering-in-their-local-elections>

<sup>29</sup> მამედლი, ქ. ჩაჩიბაია კ. „დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები“

[https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98\\_1629904540.pdf](https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1629904540.pdf)

<sup>30</sup> ვახტანგ გომელაური დმანისში დაპირისპირებაზე - ეს თემა არ უნდა გადაიზარდოს ეთნიკურ დაპირისპირებაში - ქვეყნის მტრობაა ვინც იძახის, რომ ეს არის ეთნიკური თემა <https://www.interpressnews.ge/ka/article/656284-vaxtang-gomelaury-dmanisshi-dapirispirebaze-es-tema-ar-unda-gadaizardos-etnikur-dapirispirebashi-kveqnis-mtrobaa-vinc-izaxis-rom-es-aris-etnikuri-tema/>

<sup>31</sup> ქესალოს მცხოვრებლების თქმით, მღვდელი მათ მიწების დამუშავების საშუალებას არ აძლევს <https://reginfo.ge/people/item/20807-qesalos-mzxovrelebi-axzadeben,-rom-mgvdeli-mat-mixebis-damushavebis-uplebas-ar-awlevs>

„აზერბაიჯანული მიწების გვირგვინს“ უწოდებს<sup>32</sup>. ეს სულისკვეთება აზერბაიჯანის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერაა გაზიარებული. აზერბაიჯანელების მოსაზრების მიხედვით, თურქულენოვანი ხალხების მიერ შექმნილ სახანოებიდან ერთ-ერთი, ყარაბაღის სახანო, სწორედ აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებობდა მე-18 საუკუნის შუა პერიოდიდან. რეგიონის სახელწოდება, აზერბაიჯანელების მიხედვით, მომდინარეობს მათი ენიდან, რომელიც შავ ბაღს ნიშნავს<sup>33</sup>. აზერბაიჯანულ ნარატივში სომეხი ხალხის დასახლება ყარაბაღში რუსეთის იმპერიასთან და საბჭოთა კავშირთან ასოცირდება. მიიჩნევა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ყარაბაღში სპეციალურად ხდებოდა სომხებით ჩასახლება. თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ სომეხი ხალხი ყარაბაღში ყოველთვის ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ნარატივში მთავარი არის ის, თუ ვინ მართავდა ყარაბაღს და არა ის, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიებზე.

1918 წელს რუსეთის იმპერიის დანგრევისა და ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკები იქმნება. ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი ყარაბაღის გარშემო სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. 1920 წელს აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკა ყარაბაღში კონტროლს ამყარებს, ხოლო 1921 წელს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, სამხრეთი მოლაპარაკებების შედეგად, ბოლშევიკების გადაწყვეტილებით, ყარაბაღი აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში რჩება.<sup>34</sup>

საბჭოთა მმართველობის პერიოდში ყარაბაღში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობები სტაბილურად მშვიდია. ურთიერთობები კვლავ იძაბება 1988 წლის თებერვლიდან, როცა პერესტროიკის (გარდაქმნის) პოლიტიკის შედეგად, ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოყოფის და სომხეთთან შეერთების გადაწყვეტილებას იღებს, რაზეც მოსკოვი უარს აცხადებს.<sup>35</sup> საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად, აზერბაიჯანის დედაქალაქში იწყება დემონსტრაციები და მიტინგები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მოთხოვნით.

1992 წლის 26 თებერვალი აზერბაიჯანელების მეხსიერებაში, ყარაბაღთან კავშირში, ყველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს, დაბა ხოჯალოში ომმა 613 მშვიდობიან მოქალაქე იმსხვერპლა, რომელთა შორის 63 ბავშვი, 103 ქალი და 70 მოხუცი იყო. აზერბაიჯანულ ოფიციალურ ნარატივში ეს მოვლენა „ხოჯალოს გენოციდის“ სახელითაა ცნობილი.<sup>36</sup> ყარაბაღის პირველი ომის შედეგად, სომხეთიდან, ყარაბაღის ოლქიდან და დამატებითი შვიდი ოკუპირებული რაიონიდან (ფიზული, ლაჩინი, ქელბეჯერი, ადღამი, ჯებრაილი, გუბადლი და ზენგილერი) აზერბაიჯანელი დევნილების რიცხვმა მილიონ ადამიანს გადააჭარბა.<sup>37</sup>

---

<sup>32</sup> 32-ე დღე. რა ხდება აზერბაიჯანში? ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ ენაზე: <https://www.youtube.com/watch?v=0rNyZSkRsVw&t=294s>

<sup>33</sup> ყარაბაღი: ეტიმოლოგია, ტერიტორია და საზღვრები. ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ ენაზე: <https://www.trt.net.tr/azerbaycan/proqram/2016/04/04/qarabag-etimologiyasi-razisi-v-s-rh-dl-ri-464452>

<sup>34</sup> მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შექმნის დოკუმენტი, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე: [https://cdn.discordapp.com/attachments/710567602661097564/733706215992852530/Screenshot\\_20200420-212610.jpg](https://cdn.discordapp.com/attachments/710567602661097564/733706215992852530/Screenshot_20200420-212610.jpg)

<sup>35</sup> Karabakh Movement 88: A Chronology of Events on the Road to Independence. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.evnreport.com/politics/karabakh-movement-88-a-chronology-of-events-on-the-road-to-independence>

<sup>36</sup> Information about Khojaly Genocide. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://ombudsman.az/en/view/pages/163/>

<sup>37</sup> Erməni Təcavüzü. ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ ენაზე: <https://asan.gov.az/az/useful/armenian-aggression>

1994 წელს ყარაბაღის პირველი ომი აზერბაიჯანის დამარცხებით დამთავრდა და მაისში რუსეთის ჩართულობით, მხარეებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რის შედეგადაც, გარდა ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებისა, აზერბაიჯანის დამატებით 7 რაიონიც სომხური მხარის დე-ფაქტო კონტროლში გადავიდა.<sup>38</sup> მომდევნო პერიოდში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ორივე მხარემ მრავალჯერ დაარღვია.

1994 წლიდან დამარცხებული აზერბაიჯანი იწყებს ძალების მობილიზაციას და ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრს. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მოგვარებისთვის მოლაპარაკებების ყველაზე აქტიურ ფაზაშიც კი (1994-2011 წლები) ქვეყანაში რეალური სამშვიდობო პოლიტიკის გატარება და დისკურსის შექმნა არ ხდება, ამის საპირისპიროდ თვალშისაცემი იყო სომხების მტრად მონიშვნის და დეჰუმანიზების აგრესიული რიტორიკა. შემდეგ წლებში კი, მშვიდობის მშენებლობაზე მომუშავე ადამიანები აქტიურად იღვენიან აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ. იგი არ იღებს პასუხისმგებლობას აზერბაიჯანული მხარის მიერ ჩადენილ ძალადობებზე და ძირითად აქცენტს მოწინააღმდეგე მხარის დამნაშავეობის დამტკიცებაზე აკეთებს<sup>39</sup>.

2004 წელს უნგრეთში, ნატოს სამთვინი ტრენინგების დროს, აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა, რამილ საფაროვმა, იგივე ტრენინგების მონაწილე სომხეთის ჯარისკაცი ცულით მოკლა. საფაროვმა სასამართლოში განაცხადა, რომ მისი ქმედებები სომხეთის და სომხების მიმართ არსებული სიძულვილით და ყარაბაღის ომით იყო გამოწვეული. უნგრეთმა საფაროვი დამნაშავედ სცნო და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამის მიუხედავად 2012 წელს, როცა უნგრეთმა საფაროვი აზერბაიჯანს გადასცა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საფაროვი შეიწყალა და მას აეროპორტში გმირული დახვედრა მოუწყო<sup>40</sup>.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში, აზერბაიჯანის მიერ თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე დახარჯული თანხა 24 მილიარდ დოლარს ითვლიდა. ბოლო წლების განმავლობაში, აზერბაიჯანიც და სომხეთიც ყველაზე მილიტარიზებულ სახელმწიფოებს შორის ლიდერობდნენ ერთსულ მოსახლეზე დაანგარიშებით. ამასთანავე, სამხედრო დანახარჯები არ იყო ერთადერთი მაჩვენებელი „მომავალი გამარჯვებისთვის“ მომზადების პროცესში. უნდა ითქვას, რომ ომი და მილიტარიზმი იყო წამყვანი ნარატივი მედიაში, საშუალო განათლებაში, აკადემიაში, კინემატოგრაფიაში და ხელოვნების სხვა დარგებშიც<sup>41</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმართ (განსაკუთრებით კი მინსკის ჯგუფის მიმართ) ყოველთვის ნიჰილისტურად იყო განწყობილი, სხვადასხვა მოლაპარაკებაში ის მაინც აქტიურად აყენებდა კონფლიქტის მოგვარების და ყარაბაღის გარშემო არსებული 7 რაიონის დოკუმენტაციის საკითხს, რომელიც გაეროს რეზოლუციებით და სხვადასხვა მოლაპარაკებით მყარდებოდა. 2009 წელს მადრიდის პრინციპების სახელით ცნობილი დოკუმენტი ნაწილობრივი გამარჯვება იყო მშვიდობის მშენებლობის პროცესში, როგორც აზერბაიჯანისთვის, ასევე სომხეთისთვის. აღნიშნული

<sup>38</sup> ბიშკეკის პროტოკოლი. ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე: <http://vn.kazimirov.ru/doc9.htm>

<sup>39</sup> The road to the Second Karabakh War: the role of ethno-centric narratives in the Nagorno-Karabakh conflict. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23761199.2021.1932068>

<sup>40</sup> Relatives of Armenian axed to death by Azeri officer call for justice ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.theguardian.com/law/2020/may/25/relatives-armenian-axed-death-by-azeri-officer-call-justice-ramil-safarov>

<sup>41</sup> The road to the Second Karabakh War: the role of ethno-centric narratives in the Nagorno-Karabakh conflict. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23761199.2021.1932068>

შეთანხმების განხორციელება ვერ მოხერხდა და შემდეგ წლებში სომხურმა მხარემ მადრიდის შეთანხმების უგულებელყოფაზეც კი დაიწყო საუბარი<sup>42</sup>.

აზერბაიჯანის ნარატივი არსებითად შეიცვალა სომხეთის ხავერდოვანი რევოლუციის და ნიკოლ ფაშინიანის პრემიერობის პერიოდში. მართალია, ფაშინიანამდე არსებული მთავრობები დემოკრატიულობით არ გამოირჩეოდნენ და თითქმის ყველა ლიდერი ე.წ. „ყარაბაღის კლანად“ ითვლებოდა. ფაშინიანი იყო პირველი ლიდერი, რომელმაც სომხეთისა და ყარაბაღის გაერთიანებაზე დაიწყო საუბარი<sup>43</sup>. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, „ყარაბაღი არის სომხეთი და წერტილი“.<sup>44</sup> აღნიშნულმა განსაკუთრებით გააღიზიანა აზერბაიჯანული მხარე. სოჩში, ერთ-ერთ კონფერენციაზე, სიტყვით გამოსვლისას ალიევმა ფაშინიანს უპასუხა, „ყარაბაღი აზერბაიჯანია და ძახილის ნიშანი“.<sup>45</sup> ომის პერიოდში მიცემულ ინტერვიუებში კი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი, ყოველთვის ხაზს უსვამდა სამ საკითხს: 1. საერთაშორისო მოლაპარაკებებით აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია; 2. აზერბაიჯანი თავს იცავს მოძალადისგან და ოკუპანტისგან; 3. ფაშინიანმა დაარღვია ყველა დიპლომატიური ნორმა და სტანდარტი ყარაბაღის ტერიტორიაზე ცეკვით და მისი განცხადებებებით. შესაბამისად, აზერბაიჯანს აქვს ყველა უფლება, რომ დაიცვას საკუთარი თავი და ომით დაიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები<sup>46</sup>.

აღსანიშნავია, რომ ომამდე აზერბაიჯანულ ნარატივში ძლიერი იყო მოსაზრებები რუსეთის განსაკუთრებულ როლთან დაკავშირებით. აზერბაიჯანული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, 1994 წელს აზერბაიჯანი ომში დამარცხდა არა სომხეთის, არამედ რუსული ძალების წინააღმდეგ და სანამ რუსეთი არ მოისურვებს, ეს კონფლიქტი არ მოგვარდება<sup>47</sup>. თუმცა, მეორე ყარაბაღის ომის დროს და შემდგომშიც, აზერბაიჯანულმა მხარემ საკუთარ სიძლიერეზე ხაზგასმა დაიწყო. ამასთანავე, ალიევის განცხადებებში გამოჩნდა პოზიციები, რომ აზერბაიჯანი ყარაბაღელი სომხების უფლებების და უსაფრთხოების დაცვასაც იღებდა საკუთარ პასუხისმგებლობად.<sup>48</sup> თუმცა, ომის დასრულების შემდეგ, ბაქოში, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ინიციატივით, „ომის ნადავლის პარკი“ გაიხსნა, სადაც გარდა მოწინააღმდეგის სამხედრო აღჭურვილობისა, გამოფენილია დაღუპული სომეხი ჯარისკაცების ჩაფხუტები და პირადი ნივთები. აღნიშნულ პარკში რამდენიმე სომეხი ჯარისკაცის კომიკურ და დამამცირებელ მაკეტებსაც შეხვდებით.

---

<sup>42</sup> Time to get rid of Madrid Principles. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://armenianweekly.com/2016/08/10/time-to-get-rid-of-the-madrid-principles/>

<sup>43</sup> Pashinyan stiffens Armenia's Posture toward Karabakh. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://jamestown.org/program/pashinyan-stiffens-armenias-posture-toward-karabakh/>

<sup>44</sup> Pashinyan Calls for Unification between Armenia and Karabakh. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://eurasianet.org/pashinyan-calls-for-unification-between-armenia-and-karabakh>

<sup>45</sup> Qarabağ Azərbaycandır! NİDA! İlham Əliyevdən ermənistanın baş nazirinə şillə kimi cavab. ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე: <https://www.youtube.com/watch?v=DjpnE7XiDYs>

<sup>46</sup> Interview with Ilham Aliyev. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.youtube.com/watch?v=awoRddkU444>

<sup>47</sup> Dağlık Karabağ'da Rusya faktörü ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ ენაზე: <https://www.dw.com/tr/da%C4%9F1%C4%B1k-karaba%C4%9Fda-rusya-fakt%C3%B6r%C3%BC/a-37789487>

<sup>48</sup> Azeri President says Armenians can have “cultural Autonomy”. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.aljazeera.com/news/2020/10/22/azeri-president-says-armenians-can-have-cultural-autonomy>

აღნიშნული პარკი აზერბაიჯანულ ნარატივში საკუთარ სიძლიერეზე ხაზგასმად და სამართლიანობის აღდგენად არის დანახული.<sup>49</sup>

## სომხეთის ხედვა

სომხეთის ნარატივში ყარაბაღი (არცახი) სომხეთის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ისტორიულად სომხებს ეკუთვნის. სომხეთში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ სომხეთის მეფის, ტიგრან II პერიოდში, ქრისტეს შობამდე მე-4 საუკუნიდან, ყარაბაღი დიდი სომხეთის თხუთმეტი პროვინციიდან ერთ-ერთი იყო, დიდი სომხეთის სახელმწიფოს ისტორიულ დასასრულამდე.<sup>50</sup>

ყარაბაღის შესახებ თანამედროვე სომხური ნარატივი კი უკავშირდება პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის მიერ სომხების იძულებით გადასახლებას და მასობრივ მკვლელობებს. სომხები ამ ტრაგიკულ ფაქტს უწოდებენ „მეწ ეღერნ“ (დიდი ჟლეტა), რაც ოფიციალურ სომხურ ნარატივში „სომხების გენოციდად“ იწოდება. სომხებში გავრცელებული ნარატივია, რომ ისინი წარმოადგენენ ერს, რომლებიც მტრებით იყვნენ და არიან გარშემოტყმულნი, რის გამყარებაშიც დიდი როლი ითამაშა 1915 წლის ნახსენებმა ტრაგიკულმა მოვლენებმა.

1917-1918 წლებში სომეხ ლტოლვილთა რაოდენობამ ერევნის გუბერნიაში იმატა. ისინი გახლდათ ოსმალეთის იმპერიიდან დევნილი მოსახლეობა. ამ ყველაფერის ფონზე, რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად, ამიერკავკასიაში სამი სახელმწიფო, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ სომხურ ნარატივში აზერბაიჯანის სახელმწიფოს კავკასიაში არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სომხური ნარატივის მიხედვით, 1918 წლამდე სამხრეთ კავკასიაში არ არსებობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული აზერბაიჯანი. ხოლო ახლადშექმნილმა აზერბაიჯანის რესპუბლიკამ სახელი აიღო მდინარე არაქსის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ირანის პროვინციის სახელწოდებიდან. შესაბამისად, სომხეთისთვის აზერბაიჯანის, როგორც სახელმწიფოს მიერ ამიერკავკასიაში რაიმე ტერიტორიის კონტროლი იმთავითვე არალეგიტიმურად მიიჩნევა<sup>51</sup>.

1920 წლის აპრილში ჩატარებული ყარაბაღელი სომხების IX ყრილობის გადაწყვეტილებით მთიანი ყარაბაღი სომხეთს უერთდებოდა. 1921 წლის 12 ივნისს სომხეთის მთავრობა ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა.<sup>52</sup> თუმცა, საბოლოოდ, მოსკოვის გადაწყვეტილებით, ყარაბაღი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილად გამოცხადდა, რამაც, სომხური ნარატივის მიხედვით, კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, ეს საკითხი დროებით გაყინა. სომხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყარაბაღის მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს და აღნიშნავენ, რომ სსრკ-ს მოსახლეობის პირველი აღწერის მიხედვით 1926 წელს,

---

<sup>49</sup> Prezident İlham Əliyev Bakıda Hərbi Qənimətlər Parkının açılışında iştirak edib+VIDEO  
<http://khatai-ih.gov.az/news/2281.html>

<sup>50</sup> სომხეთის ისტორია. ხელმისაწვდომია სომხურ ენაზე<http://www.historyofarmenia-am.armin.am/images/menus/61/artsaxi%20patm.pdf>

<sup>51</sup> დოკუმენტი გამოქვეყნებული არცახის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინგლისური, სომხური და რუსული ენებზე <http://www.nkr.am/hy/azerbaijan-karabakh-conflict-history>

<sup>52</sup> იქვე



მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის მოსახლეობა იყო 125,300, აქედან 111,694 სომეხი, ხოლო 12,592 თურქი.<sup>53</sup>

საბჭოთა პერიოდში ყარაბაღის კონფლიქტი გაყინული იყო. ის 1988 წელს ისევ განახლდა, როდესაც მთიანი ყარაბაღის სომხურმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობა მოითხოვა. სომხური ნარატივის თანახმად, სწორედ ყარაბაღის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის გამო მოხდა შეტაკებები აზერბაიჯანში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის და სომხებს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ აზერბაიჯანულ ქალაქებში: სუმგაითში, ბაქოში და კიროვზაბადში.<sup>54</sup> 1988 წელს 20 თებერვალს, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭომ აზერბაიჯანისა და სომხეთის უმაღლეს საბჭოებს ყარაბაღის აზერბაიჯანიდან სომხეთისთვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა. უკვე დასუსტებულ საბჭოთა კავშირში აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელი გახდა. სომხეთის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა, კარენ დემირჭიანმა სწორედ 1988 წელს დატოვა თანამდებობა ყარაბაღის საკითხისადმი მიძღვნილ მიტინგზე ნათქვამი ბოლო სიტყვებით: „ყარაბაღი (არცახი) ჯიბეში კი არ მაქვს და არ გაძლევთ, თუ რას მემართლებით?“.<sup>55</sup> იმავე წლის დეკემბრიდან ლევონ ტერ-პეტროსიანი სომხეთის საერთო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ხოლო, 1991 წელს სომხეთის პირველი პრეზიდენტი გახდა.

1992-1994 წლებში ყარაბაღში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომი სომხეთის გამარჯვებით დასრულდა. სომხეთში მოძრაობა „არცახის“ ერთ-ერთი ლიდერი და მთიანი ყარაბაღის პირველი პრეზიდენტი, რობერტ ქოჩარიანის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა, რომელიც შემდგომში ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ ჯგუფს, ყარაბაღულ ფრთას მეთაურობდა. 1997 წლის სექტემბერში ცნობილ პრესკონფერენციაზე და იმავე წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „ომი თუ მშვიდობა? სერიოზულობის დროა“ ტერ-პეტროსიანი სომხური საზოგადოების დარწმუნებას ცდილობდა, იმასთან დაკავშირებით, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება „ეტაპობრივად“ უნდა მომხდარიყო. ტერ-პეტროსიანი მთიანი ყარაბაღის ხალხის თვითგამორკვევის უფლების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოებას ემხრობოდა და ცდილობდა სომხეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების დათანხმებას ამ საკითხზე.<sup>56</sup> 1998 წლის 3 თებერვალს ტერ-პეტროსიანი იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა, რადგან სომხეთის პრემიერი, რობერტ ქოჩარიანი და თავდაცვის მინისტრი, ვაზგენ სარქისიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების უფრო რადიკალურ გზას ემხრობოდნენ. სომხეთში, ტერ-პეტროსიანს აზერბაიჯანის წინაშე დათმობის მცდელობა არ აპატიეს. ამის მიუხედავად, ტერ-პეტროსიანი დღემდე საკუთარი პოზიციის ერთგულია.

ტერ-პეტროსიანის სამშვიდობო მცდელობები სომხეთის პარლამენტში 1999 წლის 27 ოქტომბრის შეირაღებულმა თავდასხმამ საბოლოოდ დაასამარა მაშინ, როცა ხუთი შეიარაღებული კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელსაც ნაირი ჰუნანიანი მეთაურობდა, ცეცხლი გაუხნა ეროვნული კრების წევრებს. მათ შორის დარბაზში მყოფ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვაზგენ სარქისიანსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, კარენ დემირჭიანს<sup>57</sup>. დღემდე სომხეთის საზოგადოებისთვის უცნობია, თუ ვინ იყო აღნიშნული ტერაქტის ორგანიზატორი. სომხეთის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სწორედ ე.წ.

<sup>53</sup> The population of Artsakh from 1823-2020 ხელმისაწვდომია სომხურ ენაზე: <https://bit.ly/3xbXjPw>

<sup>54</sup> ხელმისაწვდომია სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

<sup>55</sup> <http://publications.y-su.am/wp-content/uploads/2017/09/D.-Julhagian.pdf> - ხელმისაწვდომია სომხური ენაზე

<sup>56</sup> <https://www.aniarc.am/2017/11/01/war-or-peace-ter-petrosyan-1997/> - ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე

<sup>57</sup> <https://www.azatutyun.am/a/2202375.html>

ყარაბაღის ფრთამ, რობერტ ქოჩარიანის ხელმძღვანელობით, აღნიშნული ტერაქტი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით მოაწყო.<sup>58</sup>

ტერ-პეტროსიანის შედარებით რბილი და შემრიგებლური პოზიციის შემდეგ, 1998 წელს ხელისუფლებაში მოვიდა რობერტ ქოჩარიანი, რომელიც სომხეთში ყარაბაღის პირველი ომის გამირი და გამარჯვებული პოლიტიკური ლიდერის სახე იყო. ქოჩარიანი განაგრძობდა ეუთო-ს მინსკის ჯგუფთან თანამშრომლობას, მაგრამ ყარაბაღთან დაკავშირებით ის „პაკეტური“ შეთანხმების მიღებას ითხოვდა. 1998 წლის ბოლოს ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა კონფლიქტის მოგვარების ახალი წინადადება წარადგინეს. მას „საერთო სახელმწიფო“ დაერქვა, რომლითაც ყარაბაღი რჩებოდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში, თუმცა აზერბაიჯანი და ყარაბაღი ერთიანდებოდნენ ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>59</sup> ერევანმა ეს წინადადება გარკვეული პირობებით მიიღო, სტეფანაკერტმა უფრო მეტი პირობები მოითხოვა, ბაქომ კი ეს გეგმა კატეგორიულად უარყო.

სომხეთის 1999-2017 წლების ხელისუფლებას ხშირად მოიხსნიებენ, როგორც ქოჩარიან-სარგისიანის „ყარაბაღის კლანის“ მმართველობას. ამ პერიოდში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება საკმაოდ უპერსპექტივო იყო, რადგანაც ლიდერების საომარი რიტორიკა და მტრული პროპაგანდა მუდმივად დაბავდა ვითარებას. ამასთანავე, ის აქტივისტები, რომლებიც მშვიდობის მშენებლობაზე, დათმობაზე და შერიგებაზე საუბრობდნენ ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ.<sup>60</sup> სომხეთის მილიტარისტულ პოზიციებს ამყარებდა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობაც, რომელიც ქოჩარიანის მმართველობის პერიოდში განსაკუთრებით გამყარდა. ამ დროს მოსკოვმა სომხეთზე უდიდესი გავლენის მოპოვება შეძლო. სომხეთში კარგად აცნობიერებდნენ, რომ რუსეთის კეთილგანწყობის დაკარგვა სხვა ბევრ დანაკარგთან ერთად, ყარაბაღზე გავლენის დაკარგვასაც გამოიწვევდა. შესაბამისად, რუსეთისადმი სომხეთის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ყარაბაღის კონფლიქტი და ამ კონფლიქტში, რუსეთის მიერ სომხეთის ირიბი მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქოჩარიანის მმართველობას მძიმე გამოწვევებიც ჰქონდა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ამ პერიოდში არსებითად შეჩერებული იყო. სომხეთის განვითარებას აფერხებდა, როგორც ნეპოტიზმი და კორუფცია, ასევე ქვეყნის პერმანენტული ბლოკადაც. სომხეთში ვითარება უფრო მეტად დამძიმდა 2016 წლის აპრილის ოთხდღიანი ომის გამო, რომლის დასრულების შემდეგ სომეხ ნაციონალისტებში გავრცელებულ ლოზუნგს: „ყველაზე ძლიერი არმია სამხრეთ კავკასიაში“, ნიადაგი გამოეცალა. ამასთანავე, კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც სერჟ სარგისიანს ძალაუფლებაში დარჩენის შესაძლებლობას აძლევდა, ფართომასშტაბიანი საპროტესტო მოძრაობის დაწყების საფუძველი გახდა.<sup>61</sup>

2018 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ნიკოლ ფაშინიანის გუნდი. აღსანიშნავია, რომ მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში გაიზარდა დემოკრატიზაციის ხარისხი, შემცირდა კორუფცია, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებმა იმატა. დასავლეთთან მეტად დაახლოვების შესახებ ფრთხილი განცხადებები და მეზობლებთან

<sup>58</sup> <https://www.gfsis.org/files/my-world/20/3.pdf>

<sup>59</sup> Minsk Group Proposal (Common State Deal). ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.legal-tools.org/doc/f2c2f3/pdf>

<sup>60</sup> They Kicked Vanyan out of Gyumri beating him up and Throwing egg at his car. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.aravot-en.am/2012/04/12/157360/>

<sup>61</sup> Political Transition and Conflicts in South Caucasus. ხელმისაწვდომია სომხურ ენაზე: <https://bit.ly/3l5BjU5>

ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილი გამოიკვეთა. აქვე მისათითებელია, რომ რუსეთთან დაკავშირებული ბიზნესების წინააღმდეგ მოქმედებით და ყარაბაღელი სომეხი პოლიტიკოსების პოზიციების დაკნინებით, ფაშინიანმა აშკარად გამოიწვია რუსეთის გაღიზიანება.

საინტერესო იყო ფაშინიანის თავდაპირველი პოზიციები აზერბაიჯანთან ურთიერთობების ნაწილში. ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერმა ფაშინიანმა განაცხადა, რომ მას იმედი ჰქონდა სომხეთში მომხდარი რევოლუციური და დემოკრატიული ცვლილებები აზერბაიჯანშიც გავრცელდებოდა. იქვე დასძინა, რომ მისთვის დემოკრატიული გზით არჩეულ აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა.<sup>62</sup> მისმა შედარებით დემოკრატიულმა და ჰუმანისტურმა მიდგომებმა, მალევე კრიტიკა დაიმსახურა სომხეთში. კიდევ ერთხელ გავრცელდა სომხეთში მოსაზრებები, რომ ყარაბაღის მაქსიმალურად დაცვისთვის საჭირო იყო ხელისუფლებაში ყარაბაღის ომის გმირები ყოფილიყვნენ, რამაც შემდგომ პერიოდში არსებითად შეცვალა ფაშინიანის საჯარო პოზიციონირება.

2019 წელს აგვისტოში მთიან ყარაბაღში ვიზიტისას ფაშინიანმა თქვა: „არცახი (ყარაბაღი) სომხეთია და წერტილი“. სომხეთის თავდაცვის მინისტრმა დავით ტონოიანმა კი აშშ-ში ვიზიტის დროს, სომხურ დიასპორასთან შეხვედრისას განაცხადა: „როგორც თავდაცვის მინისტრი, მე ვამბობ, რომ დღეს არსებული განზომილება „ტერიტორიები მშვიდობისათვის“, ჩვენ ჩავანაცვლეთ შემდეგი განზომილებით - „ახალი ომი, ახალი ტერიტორიებისთვის“.<sup>63</sup> ფაშინიანის ხელისუფლების ხისტი პოზიციებმა და ასეთმა სამხედრო დოქტრინამ აზერბაიჯანის გაღიზიანება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის პოლიტიკური ელიტის მხრიდან ასეთი ხმამაღალი განცხადებების მიზეზი რუსეთის მხარდაჭრის ფაქტორი იყო. სომხების ნარატივში რუსეთი ყოველთვის წარმოადგენდა არცახში „მშვიდობის“ გარანტორს. დღეს სომხეთში ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთმა არ შეასრულა მოკავშირეობის შეთანხმება და სომხეთი სრულიად მარტო დატოვა თურქეთის და აზერბაიჯანის ალიანსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2020 წლის 27 სექტემბერს დაიწყო სამხედრო შეტაკებები. ომის მიმდინარეობისას, ერთ-ერთ საპარლამენტო გამოსვლისას ფაშინიანმა განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია ომის შეჩერება, თუ აზერბაიჯანს გადავცემთ ყარაბაღის 7 რაიონს და ქალაქ შუშას“. ამას მოჰყვა, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წევრთა გამოსვლები. ისინი აცხადებდნენ: „ჩვენ დასაბრუნებელი არაფერი არ გვაქვს და უნდა ვიომოთ ბოლომდე“. საბოლოოდ ვითარება ძალიან სწრაფად შეიცვალა და 9 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ხელი მოეწერა. ამით დასრულდა 44 დღიანი ომი.<sup>64</sup> შეთანხმების მიხედვით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ინარჩუნებდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც ყარაბაღის მეორე ომის დროს დაიკავა. სომხეთი, თავის მხრივ, გავიდოდა ყარაბაღის მიმდებარე რაიონებიდან შემდეგი კვირების განმავლობაში. ყარაბაღში მშვიდობისმყოფელის როლი გადაეცა რუსეთს ყარაბაღის სომხური დასახლებების და „ლაჩინის კორიდორის“ დასაცავად, რომელიც ყარაბაღს და მის დედაქალაქ,

<sup>62</sup> ხელმისაწვდომია სომხურ ენაზე <https://www.youtube.com/watch?v=tHcHa-AW0Jw>

<sup>63</sup> ხელმისაწვდომია სომხურ ენაზე [https://www.azatutyun.am/a/31067737.html?fbclid=IwAR3t\\_EMS4fgYo7HSaibjZ6N0XA9EbV-WhYmUjNckj29FqrpmFhRWmOQofhc](https://www.azatutyun.am/a/31067737.html?fbclid=IwAR3t_EMS4fgYo7HSaibjZ6N0XA9EbV-WhYmUjNckj29FqrpmFhRWmOQofhc)

<sup>64</sup> პარლამენტის საგანგებო სხდომა 27 სექტემბერს, 2020წ. ვიდეო ხელმისაწვდომია სომხურად: <https://www.youtube.com/watch?v=rMrxBU5guT0>

სპეფანაკერტს აკავშირებს სომხეთთან. რუსეთთან ერთად მშვიდობისმყოფელის სტატუსი ყარაბაღში თურქეთმაც მიიღო.<sup>65</sup>

ყარაბაღის მეორე ომმა არსებითად დააზარალა სომხეთი. ომის შედეგად, სომხეთმა თვენახევარში 4000-მდე ჯარისკაცი დაკარგა<sup>66</sup>. გარდა ამისა ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკიდან და გარშემო 7 რაიონიდან დევნილი მოსახლეობის რიცხვმა 40 ათასს გადააჭარბა. გარდა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური დანაკარგებისა, სომხეთმა დაკარგა ე.წ. „უძლეველობის განცდაც“, რომელიც ყარაბაღის პირველი ომის შედეგად იყო ჩამოყალიბებული.<sup>67</sup>

ყარაბაღის მეორე ომში დამარცხებას სომხეთში მოჰყვა მასობრივი პროტესტი. გააქტიურდნენ ქოჩარიანის და სარგისიანის მხარდამჭერები. პროტესტანტებმა დაარბიეს ფაშინიანის სახლი და შეიჭრნენ მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში. ფაშინიანი დაადანაშაულეს მოღალატეობრივ გარიგებაში. საზოგადოება გაიყო ორად - ფაშინიანის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. საბოლოოდ ივნისში გამართულ ვადამდელი არჩევნებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყოფილი პრეზიდენტების: ქოჩარიანის, სარგისიანის და ტერ-პეტროსიანის პარტიებმაც, გამარჯვება ნიკოლ ფაშინიანის პარტიას „ჩემი ნაბიჯი“-ს დარჩა ხმების 54%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ომი დასრულებულია, დღესაც სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარი სამხრეთის მიმართულებით კვლავ ფეთქებადსაშიში ზონაა. უფრო მეტიც, 2021 წლის ნოემბერში, ყარაბაღის მეორე ომის დამთავრებიდან ერთი წლის თავზე, შეტაკებები განახლდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ორივე ქვეყანამ დაპირისპირების საფუძვლად მეორე ქვეყნის პროვოკაციული ქმედებები დაასახელა. საბედნიეროდ, შეტაკებები მხარეებს შორის მალევე დასრულდა.<sup>68</sup> ყარაბაღის მეორე ომის შედეგებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ უცნობი რჩება, მოახერხებენ თუ არა მხარეები გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობას. 1994 წლის მსგავსად, 2020 წელსაც მხარეებმა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მოაწერეს ხელი, ნაცვლად სამშვიდობო შეთანხმებისა. აქვე უნდა ითქვას, რომ 2020 წლის სომხეთის მდგომარეობა ძალიან ჰგავს 1994 წლის აზერბაიჯანის რეალობას.<sup>69</sup>

## საქართველოს პოზიცია ყარაბაღის მეორე ომთან მიმართებით

საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია ყარაბაღის მეორე ომთან მიმართებით ტრადიციულად ისეთივე იყო, როგორც ყარაბაღის კონფლიქტის სხვა ეტაპებზე - ნეიტრალური, თავშეკავებული და სამშვიდობო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 27 სექტემბერს, შეტაკებების დაწყებისთანავე გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც მხარეებს დეესკალაციისკენ,

<sup>65</sup> Armenian, Azerbaijan and Russia Sign Nagorno Karabakh Peace Deal <https://www.bbc.com/news/world-europe-54882564>

<sup>66</sup> Armenian: Wounds Unhealed One Year after the War <https://www.equaltimes.org/armenia-wounds-unhealed-one-year?lang=en#.YfubGepBxPY>

<sup>67</sup> Armenia still Grieving <https://foreignpolicy.com/2021/04/24/armenia-azerbaijan-war-nagorno-karabakh-aftermath/>

<sup>68</sup> Armenian Announces Ceasefire After Azerbaijan Border Clashes <https://www.aljazeera.com/news/2021/11/16/armenia-azerbaijan-say-clashes-erupt-at-border>

<sup>69</sup> Confidence and catastrophe: Armenia and the second Karabakh War <https://warontherocks.com/2021/01/confidence-and-catastrophe-armenia-and-the-second-nagorno-karabakh-war/>

მოლაპარაკებებისკენ და უფრო ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილებისკენ მოუწოდა.<sup>70</sup> მიუხედავად ამისა, ქართული საჯარო, პოლიტიკური სივრცე არ ყოფილა დაცლილი კონფლიქტის ორივე მხარის მხარდამჭერი პოზიციებისგან. 28 სექტემბერს საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა სომხებმა შეაგროვეს გარკვეული ნივთები ყარაბაღში გასაგზავნად, რომელთა ნაწილი საზღვარზე არ გაატარეს. ამ ფაქტმა მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია. აღნიშნულს მოჰყვა საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი გზის გადაკეტვა ჯავახეთში.<sup>71</sup> მოქალაქეების პროტესტს თან დაერთო დეზინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით, რომლის მიხედვითაც, საქართველო ატარებდა თურქეთიდან შეიარაღებას აზერბაიჯანის მიმართულებით<sup>72</sup>. საქართველოს ხელისუფლებას მოუწია განმარტებების გაკეთება. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებს რომელიმე მხრიდან გაატაროს სამხედრო ტვირთები ყარაბაღის კონფლიქტის პერიოდში.<sup>73</sup>

იმავე პერიოდში, ორი ყველაზე მსხვილი ქართული პოლიტიკური პარტიის: „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ეთნიკურად აზერბაიჯანელმა პარლამენტის წევრებმა გააკეთეს ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის მხარდამჭერი განცხადებები,<sup>74</sup> რაც დაგმო საქართველოში სომხეთის ელჩმა.<sup>75</sup> ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის წევრმა ეთნიკურად სომხმა დეპუტატმა ენზელ მკოიანმა, პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა და დეპუტატობის კანდიდატმა სამველ პეტროსიანმა, ასევე დეპუტატობის კანდიდატმა პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან“ მელიქ რაისიანმა აზერბაიჯანის საწინააღმდეგო და დე ფაქტო ყარაბაღის მხარდამჭერი განცხადებები გაავრცელეს.<sup>76</sup> საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გამომხაურებამ ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ<sup>77</sup>, მკვეთრად უარყოფითი რეაქციები გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს შორის, რომლებმაც სააკაშვილის ამ განცხადების გასაპროტესტებლად აქციაც გამართეს.<sup>78</sup>

სხვადასხვა პოლიტიკოსის გამომხაურებების და მათზე საზოგადოებრივი ვნებათაღელვის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია ნეიტრალური რჩებოდა. 30 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კონფლიქტის მხარეებს

<sup>70</sup> საგარეო საქმეთა სამინისტრო სომხეთ-აზერბაიჯანის შეტაკებებს ეხმაურება. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/370885>

<sup>71</sup> რატომ გადაკეტეს გზა კარწახის საზაფხოსთან – ადგილობრივების განმარტებები. ხელმისაწვდომია: <https://sknews.ge/ka/old/29535>

<sup>72</sup> დეზინფორმაცია ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის შესახებ სომხურ და აზერბაიჯანულ მედიაში. ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/disinformation-karabakh\\_conflict](https://idfi.ge/ge/disinformation-karabakh_conflict)

<sup>73</sup> საქართველო არ გახდება სამხედრო ტრანზიტის ქვეყანა - სესიაშვილი. ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/ge/sakartvelo-ar-miscems-romelime-kvekanas-sakutari-teritoriis-samxedro-tranzitistvis-gamokenebis-uflebas/>

<sup>74</sup> საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი დეპუტატები ყარაბაღის კონფლიქტში ბაქოს მხარდაჭერას უცხადებენ. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/371312>

<sup>75</sup> საქართველოში სომხეთის საელჩოს პოსტი ოფიციალურ Facebook გვერდზე. <https://www.facebook.com/ArmEmbGeorgia/posts/1834139136728687>

<sup>76</sup> დეპუტატთა ნაწილმა მხარდაჭერა გამოუცხადა ყარაბაღის კონფლიქტის მხარეებს. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/485562/>

<sup>77</sup> მიხეილ სააკაშვილი - მთიანი ყარაბაღი წარმოადგენს აზერბაიჯანის სუვერენულ ტერიტორიას და ამას არაფერი შეცვლის. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/620553-mixeil-saakashvili-mtiani-qarabagi-caroadgens-azerbajanis-suverenul-teritorias-da-amas-araperi-shecvlis/>

<sup>78</sup> Армяне Тбилиси проводят акцию протеста. ხელმისაწვდომია: [https://jnews.ge/?p=58965&fbclid=IwAR3wRf1TPAavv1fb1X98Ca7kTvXmpvI44ExhAde5pTscM4RrW5PFH\\_aYOj0](https://jnews.ge/?p=58965&fbclid=IwAR3wRf1TPAavv1fb1X98Ca7kTvXmpvI44ExhAde5pTscM4RrW5PFH_aYOj0)

თბილისში მოსალაპარაკებლად შეხვედრა შესთავაზა.<sup>79</sup> საქართველოს ხელისუფლების შეთავაზებას, ჩანს პრაქტიკული განხორციელება არ ეწერა. როგორც საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის განცხადებიდან ირკვევა, კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე აზერბაიჯანს კონკრეტული ინტერესები ჰქონდა, რომელთა შესრულებამდე მოლაპარაკებებს არ განიხილავდა.<sup>80</sup> 3 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა უსაფრთხოების საბჭომ განაცხადა, რომ კონფლიქტის დაწყების მომენტიდან შეზღუდული იყო საქართველოს, როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო მარშრუტებით სამხედრო ტვირთის გატარება სომხეთის, ასევე აზერბაიჯანის მიმართულებით და ამის შესახებ ორივე ქვეყანა ინფორმირებული იყო. საქართველო აგრძელებდა მხოლოდ სამოქალაქო ტვირთების გატარებას და კვლავაც შეასრულებდა ამ კუთხით ყველა საერთაშორისო ვალდებულებას.<sup>81</sup>

ქართული მხარის საჯარო განმარტებების მიუხედავად, ომის მიმდინარეობისას ხშირად ვრცელდებოდა სხვადასხვა დეზინფორმაცია; საქართველოს ადანაშაულებდნენ კონფლიქტში რომელიმე მხარის მხარდაჭერაში. მაგალითად, ვრცელდებოდა ინფორმაცია საქართველოს გავლით სირიელი მეზრძოლების გატარების შესახებ ომში ჩასართავად, რაც თბილისმა მაშინვე უარყო.<sup>82</sup> სომხეთის საელჩომ კი უარყო ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო არ ატარებდა ჰუმანიტარულ ტვირთებს ერევნისკენ.<sup>83</sup> სომხეთის მხრიდან განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდა მხოლოდ საელჩოს დონეზე არ გაკეთებულა, ამაზე ისაუბრა სომხეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსმაც, რომელმაც გააკეთა მოწოდება, არ აპყოლოდნენ ინტერნეტსივრცეში საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ დეზინფორმაციას.<sup>84</sup>

საქართველოს პოზიციის მიმართ კმაყოფილება გამოხატა აზერბაიჯანმაც. მართალია, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გამოთქვა ეჭვი, რომ სომხეთში იარაღი სამოქალაქო თვითმფრინავებით შეჰქონდათ,<sup>85</sup> თუმცა მას ამაში საქართველო არ დაუდანაშაულებია. პირიქით, „შესანიშნავი“ უწოდა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს

---

<sup>79</sup> გახარია: მზად ვართ, დიალოგისთვის აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლებს ვუმასპინძლოთ. ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/ge/gakharia-mzad-vart-vumaspingzlot-konfliqtis-mxareebos-warmomadgenelta-molaparakebas/>

<sup>80</sup> აზერბაიჯანის ელჩი თბილისის შეთავაზებაზე - თუ სომხეთი თანახმა იქნება, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან გაიყვანოს თავისი ძალები, მოლაპარაკებისთვის მზად ვართ, თუ არა - არ დავთანხმდებით. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/621912-azerbaijanis-elchi-tbilisis-shetavazebaze-tu-somxeti-tanaxma-ikneba-azerbaijanis-teritoriidan-gaiqvanos-tavisi-zalebi-molaparakebistvis-mzad-vart-tu-ara-ar-davtanxmdebit>

<sup>81</sup> საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებზე. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/372916>

<sup>82</sup> თბილისი დეზინფორმაციას უწოდებს ცნობებს სირიის მეზრძოლთა აზერბაიჯანისკენ გატარების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/373080>

<sup>83</sup> სომხეთის საელჩო: დეზინფორმაციაა, რომ საქართველო ერევნისკენ ჰუმანიტარულ დახმარებას არ ატარებს. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/373641>

<sup>84</sup> სომხეთის ოფიციალური პირის თქმით, საქართველო დეზინფორმაციის სამიზნე გახდა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/374136>

<sup>85</sup> ალიევი: სომხეთში იარაღი სამოქალაქო თვითმფრინავებით არალეგალურად შეაქვთ. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/375859>

და საქართველოს ზოგიერთ სოფელში სომხური და აზერბაიჯანული თემების მშვიდობიან თანაცხოვრება ყარაბაღისთვის სამაგალითოდ დაახსნათა.<sup>86</sup>

ომის დასრულების შემდეგაც საქართველომ გამოხატა მზადყოფნა ორივე მხარესთან, მშვიდობის განმტკიცების ხელშეწყობისთვის. პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ესაუბრა, როგორც ნიკოლ ფაშინიანს, ასევე ილჰამ ალიევს.<sup>87</sup> საქართველოს პრეზიდენტი კი სიხარულით მიესალმა ომის დასრულებას.<sup>88</sup> კონფლიქტის მხარეების შეთანხმებას მიესალმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც და სურვილი გამოთქვა ქართულ მხარესაც შეეტანა წვლილი გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების პროცესში.<sup>89</sup> 2021 წლის ივნისში საქართველოს ჩართულობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობის განეიტრალებაში გამოიხატა აზერბაიჯანის მიერ სომეხი სამხედრო ტყვეების გათავისუფლებისა და სანაცვლოდ სომხეთის მიერ აზერბაიჯანისთვის დანადმული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის შუამავლობაში.<sup>90</sup> იმავე წლის სექტემბრის დასაწყისში, საქართველოში ვიზიტით მყოფი სომხეთის პრეზიდენტთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული მშვიდობის აუცილებლობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ რეგიონის სამივე ქვეყანას მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა აერთიანებს.<sup>91</sup> სექტემბრის ბოლოსკენ კი, აზერბაიჯანში ოფიციალურ ვიზიტამდე, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მედიაციის პროცესის გაგრძელებას აპირებდა<sup>92</sup>.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მოახერხა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი ორ დაპირისპირებულ სახელმწიფოს შორის და აეცილებინა კონფლიქტიდან გამომდინარე სამხედრო თუ პოლიტიკური საფრთხეები.<sup>93</sup> ამას ადასტურებს აზერბაიჯანული და სომხური მხარის ოფიციალურად და საჯაროდ გაჟღერებული მაღლიერება საქართველოს, როგორც ნეიტრალური და სამშვიდობო პოზიციების მქონე მეზობლის და პარტნიორი სახელმწიფოს მიმართ. სიტუაცია არცთუ ისე მარტივი იყო და ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა, როგორც ერთი, ასევე მეორე მეზობელი სახელმწიფოს მხარდაჭერის გამომხატველი პროცესები. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ პროცესებში მონაწილეობდნენ პოლიტიკოსებიც სხვადასხვა, მათ შორის მმართველი პარტიიდანაც და ამ კონფლიქტზე სპეკულირებით ცდილობდნენ ხმების მოპოვებას წინასაარჩევნოდ.<sup>94</sup> ეს გარემოება კიდევ ერთხელ ააშკარავებს საქართველოს აზერბაიჯანელი და

<sup>86</sup> ილჰამ ალიევი: აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობები „შესანიშნავია“. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/377297>

<sup>87</sup> გიორგი გახარია ილჰამ ალიევსა და ნიკოლ ფაშინიანს ტელეფონით ესაუბრა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/381934>

<sup>88</sup> საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პოსტი მის ოფიციალურ Twitter-ის გვერდზე ყარაბაღის ომის დასრულების შესახებ. ხელმისაწვდომია: [https://twitter.com/Zourabichvili\\_S/status/1326105187572985858](https://twitter.com/Zourabichvili_S/status/1326105187572985858)

<sup>89</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყარაბაღის შეთანხმებას ეხმაურება. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/497284/>

<sup>90</sup> საქართველო-აშშ-ის მედიაციით, აზერბაიჯანმა კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/427277>

<sup>91</sup> ღარიბაშვილი: ყარაბაღის ომი რთული გამოწვევა იყო, მჯერა, გარდაიქმნება ახალ შესაძლებლობად <https://www.radiotavisupleba.ge/a/31449972.html>

<sup>92</sup> ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ბაქოსა და ერევანს შორის მედიაციას გააგრძელებს <https://netgazeti.ge/news/565613/>

<sup>93</sup> სამადგეგმივილი სანდრო, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BOZZWH>

<sup>94</sup> ყარაბაღის ომი მარნეულის წინასაარჩევნო აგიტაციაში. ხელმისაწვდომია: <https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/38171-yarabaghis-omi-marneulis-tsinasaarchevno-agitaciashi>

სომეხი თემის პოლიტიკური ინტეგრაციის პრობლემას, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ პოლიტიკოსები არა მხოლოდ არ ცდილობენ ამ ვითარების შეცვლას, არამედ პირიქით, ისინი მოერგნენ და საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენეს ეთნიკური აზერბაიჯანელების და ეთნიკური სომეხების ნათესაური თუ კულტურული კავშირებით ნასაზრდოები ემოციური დამოკიდებულება ყარაბაღის ომის მიმართ.

## საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების და სომეხების განწყობები

საქართველოს აზერბაიჯანელების განწყობები

**ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები აქტიურად აკვირდებოდნენ ყარაბაღის მეორე ომს. თემის შიგნით მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიები ამ თემაზე და მოსახლეობის უმრავლესობაში ძირითადად პრო-აზერბაიჯანული პოზიციები დომინირებდა.** საქართველოს აზერბაიჯანულ თემში ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა და სოციალურ ქსელებში მიმდინარე დისკუსიებზე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საქართველოს აზერბაიჯანული თემის დღის წესრიგი ძირითადად ყარაბაღის მეორე ომით იყო დატვირთული. ყველა რესპოდენტი აცხადებდა, რომ ისინი აქტიურად აკვირდებოდნენ ომის მიმდინარეობას და თითქმის ყოველდღე აქტიურად ეძებდნენ ინფორმაციას ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შესახებ. ერთ-ერთი ახალგაზრდა რესპოდენტის საუბრის მიხედვით:

*„თავდაპირველად მეგონა, რომ ეს იყო ილჰამ ალიევის მორიგი პოლიტიკური სვლა, რათა ხალხში საპროტესტო გამოსვლები არ ყოფილიყო. მეგონა, აქამდე რაც ხდებოდა, განმეორდებოდა ყარაბაღის მეორე ომის დროსაც, მეგონა ვერაფერს დავიბრუნებდით, მაგრამ შემდგომში ვნახე, რომ წინსვლა იყო. ამის შემდეგ გადაწყვიტე, რომ აქტიურად შედეგებიან თვალი, თუ რა ხდებოდა, რამდენი „შაჰიდი“ ან დაჭრილი გყავდა“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან, 23 წლის).*

ამასთანავე, ძლიერი იყო მოსაზრება, რომ აზერბაიჯანი ამ ომში სიმართლის მხარეს გახლდათ და აუცილებელი იყო ომის ბოლომდე გაგრძელება. ერთ-ერთი რესპოდენტის მონათხრობის მიხედვით:

*„განხილვები ძალიან ბევრი იყო, აქტიური იყო დისკუსიებიც. ყველასთვის საინტერესო იყო ეს საკითხი. თავდაპირველად, ძირითადი მოსაზრება იყო, რომ გაჩერდებოდა ყველაფერი. ამბობდნენ რომ რუსეთი და დასავლეთი არ დაუშვებდა, მაგრამ უმრავლესობას უნდოდა რომ ბოლომდე წასულიყო აზერბაიჯანი. თუმცა, აქამდე არსებული გამოცდილებები გვიქმნიდა განწყობებს, რომ გაჩერდებოდა. სომეხებთან დამარცხებულის კომპლექსი არსებობდა, ამიტომ ყველას აინტერესებდა ეს საკითხი. ამ ყველაფერს საქართველოს აზერბაიჯანელები ვერ აკონტროლებდნენ, მაგრამ მათ უნდოდათ რომ შედეგით დასრულებულიყო ეს ყველაფერი“ (ინტერვიუ რელიგიურ ლიდერთან, 44 წლის).*



ადგილობრივი ჟურნალისტი ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, რომ:

*„რომელ სახლშიც არ უნდა მესულიყავი, რომელ უბანშიც არ უნდა მისულიყავი, ყველა ამაზე საუბრობდა. შესაბამისად, როგორც მედია, ჩვენც ამაზე აქტიურად ვწერდით“*  
(ინტერვიუ ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთან, 28 წლის).

მართლაც, ადგილობრივი მედიასაშუალებების მიერ ომის პერიოდში გავრცელებულ ახალ ამბებზე დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ომის მიმდინარეობის დროს, ისინი თითქმის ყოველდღე აქტიურად ავრცელებდნენ ახალ ამბებს ყარაბაღის მეორე ომის შესახებ. ამ პერიოდში ადგილობრივი მედიები ყოველდღიურად წერდნენ ინფორმაციას ომის მიმდინარეობის, ყარაბაღში აზერბაიჯანული სამხედროების წინსვლის თუ აზერბაიჯანის პრეზიდენტის საჯარო გამოსვლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელებშიც და ფეისბუქ ჯგუფებშიც ძირითადი სადისკუსიო საკითხი სწორედ ყარაბაღის მეორე ომი იყო. ომის მიმდინარეობის დროს, საქართველოს აზერბაიჯანელების ღია თუ დახურულ ჯგუფებში ინტენსიურად ვრცელდებოდა ვიდეოები ომის მიმდინარეობის შესახებ, ასევე წარმოშობით საქართველოდან (90-იან წლებში საქართველოდან წასული) აზერბაიჯანელი ჯარისკაცების ვიდეოები, სადაც ისინი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელებსაც ესაუბრებდნენ და ომში აზერბაიჯანის წინსვლის შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას უზრიარებდნენ. ამასთანავე, მსგავსი შინაარსის პოსტებზე საქართველოს აზერბაიჯანელები ჯარისკაცებს კომენტარებად მხარდაჭერას უცხადებდნენ.<sup>95</sup>

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომში წარმოშობით საქართველოდან 15 ჯარისკაცი დაიღუპა. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით აძლიერებდა საქართველოს აზერბაიჯანელების დაინტერესებას და მიჯაჭვულობას ამ ომის მიმართ. აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში, ფაიკ გულიევი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ყარაბაღის მეორე ომის შედეგად დაღუპული 15 ჯარისკაცის ხსოვნა უკვდავი ყოფილიყო.<sup>96</sup> აზერბაიჯანის საელჩოს მუშაობა განსაკუთრებით საინტერესო და აქტიური იყო ამ პერიოდში. აზერბაიჯანის საელჩოს მიერ ჩატარებულ შეხვედრებს შორის აღსანიშნავია, ელჩის შეხვედრა 10 წლის გოგონასთან მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სარალიდან, რომელმაც აზერბაიჯანის სამხედრო ძალებს 45 ლარი გაუგზავნა.<sup>97</sup>

ომის მსვლელობის პერიოდში, მედიაში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირებების შესახებ. აქედან საგულისხმოა სადახლოს შემთხვევა, როცა ეთნიკური ჯგუფების წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.<sup>98</sup> თუმცა, საქართველოში ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებებზე საუბრისას, საქართველოს აზერბაიჯანელი თემის წევრები უარყოფდნენ საქართველოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების შემთხვევებს:

<sup>95</sup> ეთნიკურად აზერბაიჯანელების საჯარო ჯგუფი:

<https://www.facebook.com/groups/288392011270699/posts/3257508467692357>

<sup>96</sup> წარმოშობით საქართველოდან დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება:

<https://www.marneulifm.ge/ka/component/content/article/121-news/45744-gurcistan-esilli-qarabag-sehidlerinin-xatiresi-ebedilesdirilecek>

<sup>97</sup> ფაიკ გულიევი აზერბაიჯანის სამხედრო ძალების მხარდამჭერ 10 წლის გოგონას შეხვდა

<https://interpress.ge/read/18304>

<sup>98</sup> სადახლოში ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირება <https://24news.ge/read/id/33710>

*„მე არ მსმენია ასეთი ამბავი. შესაძლოა იყო მცირე დაპირისპირება, მაგრამ მე არ სმენია, ისეთი ამბის შესახებ, რომელიც სენსაციური იქნებოდა“ (ინტერვიუ ქალ აქტივისტთან, 35 წლის).*

ზოგიერთ შემთხვევაში შეგვხვდა სხვა ნარტივიც, როცა ჩვენი ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპოდენტები აცხადებდნენ, რომ მათ საქართველოში დაპირისპირება არ უნდათ და მომხდარ მცირე ინციდენტებს მხოლოდ მეორე მხარის პროვოკაციული ქმედებები ელო საფუძვლად:

*„ამ საკითხზე იყო ორი ამბავი, ერთი იყო სადახლოში: ეთნიკურმა სომეხმა შუა თითი აჩვენა აზერბაიჯანელს და მანაც არ შეიკავა თავი და მოხდა დაპირისპირება. როგორც ვიცი, ასევე ჩვენები იყვნენ სამცხე-ჯავახეთში სავაჭროდ და იქ მოხდა დაპირისპირება აზერბაიჯანელებსა და სომეხებს შორის. ამიტომ გაჩერდა ვაჭრობა ამ პერიოდში. კარგია, რომ ერთმანეთისგან დაშორებით ვცხოვრობთ და ნაწილობრივ ამიტომაც არ მოხდა დიდი დაპირისპირებები“ (ინტერვიუ აქტივისტთან, 33 წლის).*

ამასთანავე, საქართველოს აზერბაიჯანელები აცხადებდნენ, რომ ისინი სომეხებს მტრებად არ მიიჩნევენ. თუმცა, მათი აზრით, სომეხები სხვა მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურებიან.

*„მე ჩემი ხალხის სახელით ვიტყვი, რომ ჩვენი მტერი არ არის სომეხი, უპირველესი მტერი ირანი და რუსეთია. სომხეთიც რუსეთმა შექმნა. მე ზოგადად რუსეთის წინააღმდეგი ვარ“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან, 28 წლის).*

**გამოკითხული აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დროს სხვადასხვა ფორმით გამოსატავდა მხარდაჭერას აზერბაიჯანის მიმართ, იქნებოდა ეს მხარდამჭერ აქციაზე მონაწილეობა თუ ჰუმანიტარული დახმარებების ორგანიზება აზერბაიჯანისთვის. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით, იმ პირების სია იყო შექმნილი, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ გადასულიყვნენ აზერბაიჯანში და ჩართულიყვნენ ომში. თუმცა ჩაკეტილი საზღვრების პირობებში და აზერბაიჯანისთვის ასეთი მხარდაჭერის საჭიროების არარსებობის გამო, დარჩნენ საქართველოში.**

*„აქ დაორგანიზდა ჰუმანიტარული დახმარებები, იურმულანლოდან პირუტყვი გააგზავნეს, ფული შევაგროვეთ (ანგარიში იყო გახსნილი) და ლილოს ბაზრობიდან სხვადასხვა პროდუქცია ვიყიდეთ, როგორიცაა საწვიმარი, კონსერვები, აღიალები, ნიჩბები, სიგარეტი, ტანსაცმელი. შემდეგ გავუშვიტ აზერბაიჯანში. საელჩო საზღვრიდან ტრალიურის გაშვებაში დაგვეხმარა. ასევე მზად იყო 370 ადამიანის სია, რომლებსაც ომში წასვლა გვინდოდა. მაგრამ არ გავიშვეს, იქედან გვითხრეს, რაც გინდა გამოუშვით გარდა ადამიანისა“ (ინტერვიუ ახალგაზრდასთან, 28 წლის).*

აღსანიშნავია, რომ ყარაბაღის მეორე ომის მიმდინარეობის დროს საქართველოს აზერბაიჯანელმა თემმა ჩაატარა ოთხი დემონსტრაცია მარნეულის მუნიციპალიტეტში, ხოლო ერთი დემონსტრაცია - გარდაბანის მუნიციპალიტეტში<sup>99</sup>. აქციების და დემონსტრაციების ერთ-ერთი ორგანიზატორის განცხადებით:

<sup>99</sup> საქართველოში აზერბაიჯანის მხარდამჭერი მორიგი აქცია ჩატარდა: <https://report.az/qarabag/gurcustanda-azerbaycana-novbeti-destek-aksiyasi-kecirilib/>

*„ჩვენი პირველი აქციის ძირითადი მიზანი იყო: „ჯერ ყარაბაღს თავისუფლება, შემდეგ მშვიდობა“. მეორე აქციის მიზანი და ლოზუნგი იყო „ყარაბაღი აზერბაიჯანია“, ხოლო შემდგომი აქციების მიზანი იყო „გაჩერდეს ტერორიზმი განჯაში.“ სომხები ასევე ატარებდნენ აქციებს და პროვოკაციებს აწყობდნენ, მაგრამ ჩვენ ასე არ ვიქცევოდით. ჩვენი მთავარი მიზანი აზერბაიჯანელი ხალხის სიმართლის გახმოვანება იყო“ (ინტერვიუ აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორთან, 30 წლის).*

**აზერბაიჯანის მიმართ საკუთარ მხარდაჭერას კი, საქართველოს აზერბაიჯანელები საქართველოს დოკუმაციის და ტერიტორიების დაბრუნების არგუმენტებით ამართლებდნენ.**

*„ისიც ვიცი, რომ საქართველოს ტერიტორიებიც ოკუპირებულია, შესაბამისად, როგორც აზერბაიჯანმა დაიბრუნა ტერიტორიები, ასევე გვინდა ხელიხელჩაკიდებული დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიებიც“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 35 წლის).*

ამასთანავე, ისმოდა სიმართლის მხარეს დგომის არგუმენტებიც.

*„მორალური მხარდაჭერა გამოვხატეთ აზერბაიჯანის მიმართ. იმიტომ კი არა, რომ აზერბაიჯანი იყო და ჩვენი ხალხი იყო, არამედ იმიტომ რომ სიმართლის მხარეს ვიყავით. ვამბობდით, არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ საქართველოს ტერიტორიებიც არის ოკუპირებული და მისი დოკუმაციაც და განთავისუფლებაც უნდა მოხდეს“ (ინტერვიუ რელიგიურ ლიდერთან, 44 წლის).*

**საქართველოს აზერბაიჯანული თემი ყარაბაღის მეორე ომის მიმართ საქართველოს ნეიტრალურ პოზიციას პოზიტიურად აფასებდა.** რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებდნენ, რომ ისინი საკუთარ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ, თუმცა აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენები მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი მონაწილის მიხედვით:

*„ჩემი აზრით, საქართველოს ნეიტრალური პოზიცია იყო სწორი და სამართლიანი. ამ პოზიციას სრულად ვეთანხმები. არც სომხეთს დაეხმარა, არც აზერბაიჯანს. საზღვრები ჩაკეტილი იყო. როგორც ვიცი, სომხებს ჯავახეთიდან ყარაბაღში უნდოდათ წასვლა. აზერბაიჯანელებს ეს არ უნდოდათ. აღიევმაც თქვა, რომ გარდაცვლილებს და დატყვევებულებს შორის იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. ეს იმას ნიშნავდა, რომ აქედან სომხები წასულები იყვნენ ამ ომში. მაგრამ მომწონს საქართველოს პოზიცია“ (ინტერვიუ აქტივისტთან, 33 წლის).*

იყო უფრო კრიტიკული მოსაზრებებიც, რომლის მიხედვითაც, საქართველო „სიმართლის“ და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მხარეს უნდა დამდგარიყო.

*„საქართველო არცერთს არ უჭდა მხარს, მაგრამ საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა. ჩემი აზრით, საქართველოს პოზიცია უნდა ყოფილიყო სიმართლის მხარეს, საერთაშორისო სტანდარტების მხარეს, მის მიერ აღიარებულ საზღვრებში. საქართველო ოკუპაციის მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო“ (ინტერვიუ რელიგიურ ლიდერთან, 44 წლის).*

უფრო მეტიც, ერთ-ერთი რესპოდენტი აცხადებდა, რომ მისი განცდით, საქართველო აზერბაიჯანს უჭერდა მხარს, თუმცა იძულებული იყო ნეიტრალიტეტის როლის თამაში.

*„საქართველოს პოზიცია, რა თქა უნდა, აზერბაიჯანის მხარეს იყო, მაგრამ თავს აჩვენებდა, რომ ვითომ ნეიტრალური იყო. სინამდვილეში, საქართველო ვალდებული იყო, რადგანაც, საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლოც ოკუპირებულია. ამიტომაც ყარაბაღის დაბრუნების შემთხვევაში ფიქრობდა, რომ დაიბრუნებდა აფხაზეთსაც. მე როგორც საქართველოს მოქალაქე, შზად ვარ წავიდე ომში აფხაზეთში. მამაჩემი და ჩემი უფროსი ძმა იყო 2008 წლის ომში. თუ საჭიროა საქართველოსთვის მოვკვდებით. ჩვენც ასეთი ხალხი ვართ. იცით ხომ 300 არაგველი? მათ შორის 100 ბორჩალოელი იყო“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან, 28 წლის).*

რესპოდენტების ნაწილი აცხადებდა, რომ საქართველოს ოფიციალური პოზიციის მიუხედავად, იყო შემთხვევები, როცა საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკოსები ამკარად გამოხატავდნენ რომელიმე ქვეყნის მხარდამჭერ პოზიციებს, რაც მათი თქმით, მიუღებელი იყო ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან. პარტიების სხვა ლიდერებს ამაზე პოზიცია არ გამოუხატავთ და არ დაუგმიათ მათი პარტიის წევრების განცხადებები.

*„მგონია, საქართველოს სწორი პოზიცია ჰქონდა, რადგანაც ორივე ქვეყანა ჩვენი მეზობელია. ნეიტრალიტეტი სწორია. თუმცა, ეს ნეიტრალიტეტი ბოლომდე არ იყო დაცული საქართველოში. ჯავახეთში კანდიდატები საარჩევნო კამპანიებს აუქმებდნენ, რადგანაც ომი იყო. მაგრამ ომი ხომ სომხეთში იყო, არჩევნები კი საქართველოში? ეს გაუგებარია ჩემთვის. მაგრამ აზერბაიჯანელი კანდიდატები საარჩევნოდ მუშაობას აგრძელებდნენ. შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდა, აზერბაიჯანი ლიდერობდა ამ ომში და ამიტომაც უფრო თავისუფლები იყვნენ. ასევე პარტიის ლიდერები ეთნიკური უმცირესობებიდან ღიად გამოხატავდნენ პოზიციას და ნეიტრალიტეტს არღვევდნენ. ეს იყო დიდი პრობლემა“ (ინტერვიუ ადგილობრივი მედიის ხელმძღვანელთან, 38 წლის).*

**ცხოვრებისეული გაკვეთილების და გამოცდილებების შესახებ საუბრისას, რესპოდენტები სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გამოწვევებზე და გაკვეთილების ვერ სწავლაზე აკეთებენ აქცენტს.** რესპოდენტების უმრავლესობა აღნიშნულ ნაწილში სიტუაციას საქართველოს გადმოსახედიდან აფასებენ.

*„საქართველოს მოქალაქეების დონეზე დავინახეთ, რომ სამოქალაქო ინტეგრაციაზე მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. ასევე უნდა შევცვალოთ არსებული ინტეგრაციის პოლიტიკა“ (ინტერვიუ სამოქალაქო აქტივისტთან, 33 წლის).*

გამოცდილებებზე საუბრის დროს, ცაკლე უნდა აღინიშნოს ეთნიკური აზერბაიჯანელების ე.წ. დამარცხებული და ჩაგრული მდგომარეებიდან გამარჯვებულ მდგომარეობაში გადასვლის გამოცდილების განცდა. გამოკითხვის ერთ-ერთი მონაწილის მსჯელობის მიხედვით:

*„ჩაგრულის კომპლექსიდან გამოვედით. ახლა გამარჯვებული ხალხის პოზიციაზე ვართ. ეს დიდი გაკვეთილია. სხვებიც დაჩაგრულ ხალხად გვხედავდნენ, იგივე ქვეყნის ხალხი არ ვართ, მაგრამ აზერბაიჯანის გამარჯვებით, უკვე ჩვენც გამარჯვებულ ხალხად ვითვლებით. თურმე, როგორც ხალხს შეგვძლება ერთად საქმეების კეთება. თავისთავად*

გამარჯვებულობის აურასაც არ უნდა მივეცეთ და შეცდომა არ უნდა დავეშვათ. კარგად უნდა გავარკვიოთ ვინ ვართ და რა გვინდა“ (ინტერვიუ სასულიერო ლიდერთან, 44 წლის).

მეორე რესპოდენტის მოსაზრების მიხედვით:

„ამდენი წლის შემდეგ ჩვენ დაკარგული ნამუსი დავიბრუნეთ. ჩემთვის მიწა ნამუსია. აქამდე მე სხვა ხალხებში მრცხვენოდა, როცა ვამბობდი აზერბაიჯნელი ვარ. წინათ მრცხვენოდა, რადგანაც ჩვენი მიწა გარეთ იყო დარჩენილი“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან, 28 წლის).

ომის გავლენებზე საუბრისას ერთ-ერთი რესპოდენტი რამდენიმე ფაქტორს ასახელებს:

„გინდა, არ გინდა, ამ ხალხებზე ამ ომს გავლენა ჰქონდა. ეს ქვეყნები საქართველოს მეზობლები არიან. ასევე, საქართველოს შიგნითაც მეზობლები ვართ. მეზობელ ქვეყანაში როცა ომია, გარანტია არ გაქვს, რომ ეს ომი აქ არ გადმოვა. ომი ტრაგედიაა. ამიტომ როგორც ეს ხალხები, ასევე, საქართველოც აქტიურად აკვირდებოდა ამ ომს. როგორც ხალხი გვინტერესებდა, რადგან ერთი დამარცხებული იყო, მეორე - გამარჯვებული. ასევე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც ვიყავით დაინტერესებული“ (ინტერვიუ რელიგიურ ლიდერთან, 44 წლის).

**მომავალზე საუბრის დროს, საქართველოს აზერბაიჯანელები აქცენტს ლიდერების პასუხისმგებლობაზე აკეთებენ. უმეტესად კი საუბარია აზერბაიჯანის პასუხისმგებლობაზე, როგორც გამარჯვებულ სახელმწიფოზე.** რესპოდენტების მიხედვით, მომავალში შესაძლო დაპირისპირებები და მტრობა თავიდან უნდა ავიცილოთ, ხოლო ამაში პასუხისმგებლები იქნებიან ორივე მხარის პოლიტიკოსები, რომელთაც რიტორიკაც და დისკურსებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მშვიდობის მშენებლობაზე.

„ორივე ქვეყანა ახლახან არის ომიდან გამოსული და ამიტომ დაძაბულობა ორივე მხარეს შეიძლება იყოს. შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა მშვიდობის შესივებაზე უნდა გადავიდეს. რიტორიკა უნდა შეიცვალოს. ამ შემთხვევაში, ეს ყველაფერი უფრო მეტად გამარჯვებული ხალხის პასუხისმგებლობაა. რადგანაც სომხები იცხოვრებენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. პოლიტიკურად სომხეთის სახელმწიფოსა და აზერბაიჯანის მოქალაქე სომხებისადმი მიმართვებში განსხვავება უნდა იკითხებოდეს. უნდა განსხვავდეს სომხეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ სომხებს შორის. ყველა სომეხს მტრად ვერ აღწერ. ზოგადად რიტორიკაში, გამარჯვებული მხარე საომარ ენას აღარ უნდა იყენებდეს. თუ მშვიდობა უნდათ, რა თქმა უნდა“ (ინტერვიუ სასულიერო ლიდერთან, 44 წლის).

**ყარაბაღში მშვიდობის მშენებლობის პროცესში საქართველოს სამაგალითო ქვეყნად განხილვას რესპოდენტების ძირითადი ნაწილი უარყოფიდან აფასებს.** ამავე დროს, არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელების და სომხების ურთიერთობები სამაგალითოა და შესაძლოა ეს ურთიერთობები გამოდგეს ყარაბაღში მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

„შესაძლოა ეს იდეალური ურთიერთობები არ არის. მაგრამ სიღრმისეული პრობლემებიც არ გვაქვს. არის ვაჭრობაც. ასევე როგორც ნიმუში, აზერბაიჯანის პრეზიდენტსაც ამაზე ჰქონდა საუბარი, რომ საქართველო შეიძლება გახდეს ნიმუში. დიდი პრობლემები არ არის“ (ინტერვიუ ახალგაზრდასთან, 28 წლის).

ყარაბაღის მეორე ომის დასრულებიდან ერთი წლის თავზე, საქართველოს აზერბაიჯანელი თემი ძველ რეალობას დაუბრუნდა. ამასთანავე აღნიშნული საკითხი საჯარო განხილვის ნაწილი მაინც ხდება. 2021 წლის ნოემბერში აზერბაიჯანულენოვანმა მედიაორგანიზაციამ 24news.ge-მ გაავრცელა დოკუმენტური ფილმი 22 გარდაცვლილი ჯარისკაცის შესახებ, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან იყვნენ.<sup>100</sup> ამასთანავე, თბილისში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით, დაღუპული ჯარისკაცების ხსენებისთვის ვანშამი ჩატარდა, სადაც სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი პარლამენტის წევრებიც.<sup>101</sup>

## საქართველოს სომხების განწყობები

**ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები აქტიურად აკვირდებოდნენ ყარაბაღის მეორე ომს; თემის შიგნით მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიები ამ თემაზე და მოსახლეობის უმრავლესობაში ძირითადად პრო-სომხური პოზიციები დომინირებდა.** საქართველოს სომხურ თემში ჩატარებულმა სიდრმისეულმა ინტერვიუებმა და სოციალურ ქსელებში დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საქართველოს სომეხი თემის ინტერესი სრულად იყო მოცული ყარაბაღის მეორე ომის მიერ. ყველა რესპოდენტი აცხადებდა, რომ ისინი აქტიურად აკვირდებოდნენ ომის მიმდინარეობას და თითქმის ყოველდღე აქტიურად ეძებდნენ ინფორმაციას ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შესახებ. ერთ-ერთი ახალგაზრდა რესპოდენტის ინტერვიუს მიხედვით:

*„ომის დროს სოფელში ახალგაზრდების შორის, სოფლის ყველა ოჯახში და ჩემს სანათესაოში ყველაზე აქტუალური თემა იყო იმ პერიოდში. ყოველდღე, ყოველ წუთში აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა ამ თემაზე; საუბრობდნენ ომის მიმდინარეობაზე. ჩემი თანასოფელი რამდენიმე ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრობდა სომხეთში, მონაწილეობდა ომში და მათი ნათესავები უფრო აქტიურად იყვნენ დაინტერესებული ომის მიმდინარეობით, ყოველთვის ურეკავდნენ სომხეთში მყოფ ნათესავებს. იმ პერიოდში, უკვე მამაკაცებმა თუ ქალებმა ბავშვების ჩათვლით, ვისწავლეთ სამხედრო ტექნიკების და იარაღების სახელები და სხვა“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან, 22 წლის).*

ცხადია, სომხეთის მოსახლეობასთან ნათესაურმა კავშირებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ყარაბაღის ომის მიმართ საქართველოს სომეხი თემის ინტერესი და მათი პოზიცია ცალსახად სომხეთის მხარდაჭერით განისაზღვრა. ერთ-ერთმა რესპოდენტმა, რომლის ნათესავებიც იბრძოდნენ ყარაბაღში, ასე გაგვიზიარა საკუთარი დამოკიდებულება ომის მიმართ:

*„რა თქმა უნდა, ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩემი ოჯახის ორი წევრი უშუალო მონაწილე იყო ომის. ძალიან დაძაბული პერიოდი იყო, ორივე ბიძაშვილი სამხედრო მოქმედებების პირველ ხაზზე იყო მთელი ომის მიმდინარეობისას და ყოველდღე ვლოცულობდით მათთვის. მადლობა ღმერთს დასრულდა ომი და ჩემი ძმები სახლში*

<sup>100</sup> Gürcüstan əsilli Birinci və İkinci Qarabağ müharibəsi şəhidləri haqqında sənədli film (VIDEO)

<https://24news.ge/read/id/61382>

<sup>101</sup> Tbilisidə Gürcüstan əsilli Birinci və İkinci Qarabağ müharibəsi şəhidlərinin xatirəsi anılıb (FOTO-VIDEO)

<https://24news.ge/read/id/61338>

არიან. ადგილზე ყოველდღიური დისკუსია მიმდინარეობდა, სოფლის მოსახლეობა ყოველთვის კითხულობდა, თუ როგორ არიან ჩემი ნათესავები, ასევე რადგან ისინი პირველ ხაზზე იყვნენ, აინტერესებდათ, როგორია მდგომარეობა ყარაბაღში“ (ინტერვიუ სტუდენტთან, 24 წლის).

ყარაბაღში მებრძოლ სომეხ სამხედროებთან ამგვარი მჭიდრო კავშირების ფონზე, საქართველოს სომხურ თემში ყარაბაღის ომზე მსჯელობის დროს, ასევე ვლინდებოდა, იკვეთებოდა მშვიდობის და ომის დამანგრეველი შედეგების შესახებ წუხილი და სევდა.

*„ფსიქიკურად ძალიან რთულ მდგომარეობაში ვიყავი, მით უმეტეს ტელევიზორის ყურებისას, როდესაც გარდაცვლილების სახელებს და გვარებს აქვეყნებდნენ. ყველა ახალგაზრდა ბავშვი იყო 18,19, 20 წლის და ეს მწუხარებას აჩენდა ჩემში, რადგან მეც მყავს ამ ასაკის შვილები და ვფიქრობდი - რატომ, რისთვის, რამდენიმე კვადრატული კილომეტრი მიწისთვის ამდენი ახალგაზრდა ემსხვერპლა“ (ინტერვიუ თვითდასაქმებულთან, 45 წლის).*

ომის მიმდინარეობის დროს, ადგილობრივი მედია ყოველდღიურად აქტიურად ავრცელებდა ახალ ამბებს ყარაბაღის მეორე ომის შესახებ. ეს ამბები შეეხებოდა, როგორც ომის მიმდინარეობას, ასევე ყარაბაღში სომეხი სამხედროების წინსვლის, გმირობის, ისე სომხეთის პრემიერ-მინისტრის და თავდაცვის სამინისტროს საჯარო გამოსვლებს.<sup>102</sup>

საქართველოს სომხურ თემთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ყარაბაღის ომი მათთვის მნიშვნელოვანი თემა იყო, არა მხოლოდ ომში მონაწილე ნათესავებზე წუხილის და მათ ბედზე ნერვიულობის გამო, არამედ ნაციონალისტური განწყობების ზეგავლენის გამოც. რამდენიმე რესპონდენტმა სომხეთი სამშობლოდ მოიხსენია და ამას ასეთ ახსნას უძებნიდნენ:

*„ჩემთვის რაც ხდება სომხეთში არის ძალიან მტკივნეული. მე, როგორც საქართველოს მოქალაქემ, შემიძლია ვთქვა, რომ რაც ხდება სომხეთში არ არის მეორადი ან საერთოდ არ მაინტერესებს. არა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია სომხეთი, სომხეთს თავისებური ადგილი აქვს ჩემს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვსწავლობ და საქართველოში ვცხოვრობ, ჩემი სამშობლო სომხეთია... დაინტერესებული ვარ, იმიტომ რომ ჩვენი სამშობლოა. ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, მაგრამ ჩვენი სამშობლო სომხეთია. როგორც ადგილობრივი აზერბაიჯანელები, იგივე მიზეზით არიან დაინტერესებული, თუ რა ხდება აზერბაიჯანში, იმავე მიზეზით ჩვენ. ჩვენი ისტორიული ტერიტორიები იყო და რა თქმა უნდა, დაინტერესებული უნდა ვიყოთ. ეროვნული ინტერესი დიდ როლს ასრულებს ამ საკითხში“ (ინტერვიუ მასწავლებელთან, 27 წლის).*

სხვა რესპოდენტი იმავე საკითხზე განმარტავდა:

*„მე მაქვს ორი ქვეყანა საქართველო და სომხეთი, მაგრამ მოქალაქე ვარ მხოლოდ საქართველოსი. ორი სამშობლოს განცდა არის. ჩვენი სამშობლო არის საქართველო. ჩვენ აქ დავიბადეთ, მაგრამ როგორც სომხები, სომხეთიც არის ჩვენი სახელმწიფო. ორივე*

<sup>102</sup> „ParvanaTv“-ის სიუჟეტი ომის მიმდინარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=nZIR-1p8Plg&t=22s>; „ParvanaTv“-ის სიუჟეტები საომარი გმირობის შესახებ. ხელმისაწვდომია: [https://www.youtube.com/watch?v=ACefxS5\\_3dU&t=11s](https://www.youtube.com/watch?v=ACefxS5_3dU&t=11s), <https://m.facebook.com/watch/?v=1030797291059191>

ქვეყანა არის მნიშვნელოვანი, ჩვენი ქვეყანა“ (ინტერვიუ ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთან, 28 წლის).

სწორედ ასეთი ეროვნული სულისკვეთების წყალობით ბევრ საქართველოს მოქალაქე სომეხს ჰქონდა ყარაბაღის ომში უშუალოდ მონაწილეობის სურვილი,<sup>103</sup> რაც ჩვენმა რესპოდენტებმაც დაადასტურეს. თუმცა, საზღვრების ჩაკეტვის გამო, მათ ვერ მოახერხეს ომში მონაწილეობა. სომხეთის და სომეხი ერის მხარდაჭერის გზად ამ შემთხვევაში გამოინახა ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა, რისი ნებაც მათ დართო საქართველოს ხელისუფლებამ. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, ამ გზავნილების გაგზავნაში, მთელი ჯავახეთიდან მონაწილეობდნენ ადამიანები. ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ სომხეთში გასაგზავნი ტვირთის შეგროვებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სასულიერო პირებიც.<sup>104</sup> აღსანიშნავია, ის რომ ყარაბაღში საომარი ქმედებების დაწყების დღიდან, 28 სექტემბრიდან, ახალქალაქის ახალგაზრდების ინიციატივით Facebook-ზე შეიქმნა გვერდი სახელით „ჯავახეთის ფონდი“<sup>105</sup>, სადაც რეგულარულად წარადგენდნენ ფულადი შემოწირულობების შესახებ ინფორმაციას.<sup>106</sup> ომის დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული ფონდის ორგანიზატორებმა ახალქალაქში და ნინოწმინდაში გახსნეს ოფისები და ომში მონაწილე ჯავახეთის მკვიდრებს ფულადი დახმარება გადასცეს, გარდაცვლილი მეომრების შემთხვევაში ასევე ფულადი დახმარება გაუწიეს მათი ოჯახის წევრებს. „ფონდი ჯავახეთის“ საქველმოქმედო კამპანია მიმდინარეობდა და მიმდინარეობს შემდეგი სლოგანით „ჯავახეთი სომხეთის გვერდით“.

საქართველოს სომხურმა თემმა რამდენიმე აქციაც გამართა. ამის შესახებ რესპოდენტები არაერთგვაროვნად საუბრობენ. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ იყო მშვიდობიანი აქცია, სამშვიდობო ლოზუნგებით, ზოგიერთმა აღნიშნა, რომ თავად თავი აარიდა აქციაზე გამოჩენას საკუთარი პროფესიის და დასაქმების ადგილის გამო. ცალკეული მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ამ აქციების სულისკვეთება უფრო პროსომხური იყო,<sup>107</sup> ვიდრე ზოგადად პაციფისტური.

<sup>103</sup> Добровольцы из Ниноцминды готовы отправиться в Карабах / Видео. ხელმისაწვდომია:<https://nor.ge/?p=155231>

<sup>104</sup> “ParvanaTV“ -ის სიუჟეტი ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზების შესახებ. ხელმისაწვდომია:[https://www.youtube.com/watch?v=r\\_IGpG9z-3A&t=103s](https://www.youtube.com/watch?v=r_IGpG9z-3A&t=103s)

<sup>105</sup> ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/%D5%8B%D5%A1%D5%BE%D5%A1%D5%AD%D6%84-%D5%B0%D5%AB%D5%B4%D5%B6%D5%A1%D5%A4%D6%80%D5%A1%D5%B4-Foundation-of-Javakhk-106225987913694/>

<sup>106</sup> მაგალითად:[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=335093548360269&id=106225987913694](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=335093548360269&id=106225987913694), <https://jnews.ge/am/?p=48651>

<sup>107</sup> აქციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მასალები: „როგორ აისახა ყარაბაღში ვითარების გამწვავება ჯავახეთზე, სადაც ეთნიკური სომხები ცხოვრობენ“ - ხელმისაწვდომია:<https://jam-news.net/ge/saqartvelo-javakheti-saakashvili-somkheti-azerbaijani-yarabaghi/>; „არა ომს“ - ახალქალაქში სომხეთის მხარდასაჭერად აქცია გაიმართა“ - ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/468964/>; „ახალქალაქში მთიანი ყარაბაღის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა“ - ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90/30878719.html>;



მიუხედავად სომხეთის სახელმწიფოს მხარდამჭერი პოზიციისა, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან ურთიერთობის შეფასებებისას, სომხური თემის რესპოდენტების დიდი ნაწილი სიფრთხილეს იჩენდა. უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათი ურთიერთობები საქართველოს აზერბაიჯანელებთან დაიძაბა ან გაუარესდა სოციალურ ქსელებში მიმდინარე პროცესების შედეგად, მაგრამ როგორც ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს, ერთმანეთთან მშვიდობიანი კომუნიკაცია მართებდათ:

*„ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მახსენდება. ზუსტად ომის მიმდინარეობის პერიოდში ჩვენს სოფელში მოვიდნენ ეთნიკური აზერბაიჯანელები საქონლის გასაყიდად. ამ დროს თვითონ ველაპარაკე აზერბაიჯანელებსაც. ჩვენ ერთი აზრი გვქონდა, რომ ჩვენ რა შუაში ვართ ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, აქ ვცხოვრობთ, ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებული ვართ ერთმანეთზე და ჩვენ სხვაგან საცხოვრებელი ადგილიც არ გვაქვს. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ აზრზე ვიყავით, რომ საქართველოში ვცხოვრობთ და ომი ჩვენ არ გვეხება“ (ინტერვიუ ფერმერთან/თვითდასაქმებულთან, 38 წლის).*

როგორც გამოიკვეთა, საქართველოს მოქალაქე სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ეკონომიკურ საქმიანობაზე ყარაბაღის ომს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა. ასევე, სომხურ თემში ვერ გაიხსენეს ამ ომის ნიადაგზე მომხდარი ეთნიკური დაპირისპირებები. თუმცა ამას თავადაც იმით ხსნიდნენ, რომ ჯავახეთში ეთნიკურად აზერბაიჯანელები ფაქტობრივად არ ცხოვრობენ, საქმიანი ურთიერთობის მიზნით ჩამოსულ საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელებთან კი ჩვეულებრივი, კვლავინდებური დამოკიდებულება ჰქონდათ. სომხური და აზერბაიჯანული თემების დაპირისპირების ძირითადი არეალი მათი შეფასებით სოციალური ქსელები იყო. ომის პერიოდში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები აზიარებდნენ ომის მოვლენების შესახებ ინფორმაციას შემდეგი სიტყვებით „#հայթեխունեսք“ („გავიმარჯვებთ“).<sup>108</sup>

*„მე ძალიან აგრესიულად და მტრულად ვიყავი განწყობილი აზერბაიჯანელების და აზერბაიჯანის მიმართ. ძალიან დაიძაბა ურთიერთობები ფეისბუქში ჩემ მიერ პოსტის დადების შემდეგ, რომელსაც მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება კომენტარის და შეტყობინების სახით, ძირითადად საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელებთან. ერთი სიტყვით, ძალიან დაძაბულ მდგომარეობაში ვიყავით. ბევრნი უფრო აგრესიული დამოკიდებულებითაც საუბრობდნენ ამ საკითხის ირგვლივ სოფელში“ - იხსენებს ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი (ინტერვიუ სტუდენტთან, 23 წლის).*

**საქართველოს სომხურ თემში ყარაბაღის მეორე ომის მიმართ საქართველოს ნეიტრალური პოზიცია ძირითადად პოზიტიურად იყო შეფასებული. რესპოდენტების თქმით, მათთვის გასაგებია, რომ საქართველოს, რომლის ეკონომიკა დამოკიდებულია აზერბაიჯანზე, ვერ ექნებოდა დიად სომხეთის მხარდამჭერი პოზიცია და საქართველოსთვის ერთადერთი ლოგიკური პოზიცია იყო ნეიტრალურობა ამ კონფლიქტში:**

„მშვიდობიანი აქციის შესახებ ფეისბუქში ვიდეო მანიპულაციურად ვრცელდება“ - ხელმისაწვდომია:<https://www.mythdetector.ge/ka/myth/mshvidobiani-aktiis-shesakheb-peisbukshi-video-manipulatsiurad-vrtseldeba>

<sup>108</sup> მაგალითად: <https://www.facebook.com/Abajyanroza/posts/702337377046137>

*„ჩემი აზრით, საქართველოს პოზიცია იყო სწორი, რადგან ორივე სახელმწიფო არის მეზობელი სახელმწიფო და ნეიტრალიტეტი იყო სწორი პოზიცია შემდგომი თანამშრომლობისთვისაც. კი, თავდაპირველად ჩვენ თემში იყო ეგეთი მოსაზრება, რომ სომხები ქრისტიანები არიან და საქართველო ვალდებულია დაეხმაროს სომხეთს, მაგრამ ვფიქრობ, არასწორი პოზიციაა და ნეიტრალიტეტი სწორი იყო. საქართველომ იფიქრა თავისი ინტერესების შესახებ, თავისი ეკონომიკის განვითარების შესახებ. აზერბაიჯანზე დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა და სწორედ ამიტომ შეარჩია ნეიტრალიტეტის პოზიცია“ (ინტერვიუ მასწავლებელთან, 29 წლის).*

ამავდროულად საქართველოს პოზიციის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სომხურ თემზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა ჰქონია ომის პერიოდში გავრცელებულ დეზინფორმაციას საქართველოს მიერ თურქეთიდან აზერბაიჯანისთვის სამხედრო დახმარების გატარების თაობაზე. სწორედ ამ კონტექსტში, რესპოდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ოფიციალურად საქართველოს პოზიცია ნეიტრალური კი იყო, მაგრამ მოქმედებებით არა:

*„საქართველო ჰქონდა ნეიტრალური პოზიცია, ოფიციალურად გამოცხადდა ნეიტრალიტეტი და თავისი დახმარება შესთავაზა ორივე მხარეს კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარებაში. არსებობდა ბევრი შეთქმულება, რომ საქართველო არ იცავს ნეიტრალიტეტს, რადგან ბევრი იყო სურათები, ვიდეო მასალა, თუ როგორ იგზავნებოდა საქართველოს გავლით თურქეთის სამხედრო ტექნიკა აზერბაიჯანში. ამიტომ ჩემი აზრით, ნეიტრალიტეტი სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ სამწუხაროდ არ იყო დაცული ნეიტრალიტეტი“ (ინტერვიუ ადგილობრივთან, 54 წლის).*

რესპოდენტები, როგორც თავად, უწოდეს „ფსევდო ნეიტრალიტეტის“ ერთ-ერთ მიზეზად თურქეთის გავლენასაც მიიჩნევდნენ. მათი აზრით, არსებული სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირების გამო საქართველო ვერ შეეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის და თურქეთის ზეგავლენას. საქართველოს სომეხი თემის აღქმით, თურქეთი კონფლიქტის მონაწილე მხარეა, რომელიც, როგორც დიპლომატიური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით მხარს უჭერდა აზერბაიჯანს ყარაბაღის მეორე ომში.

**ცხოვრებისეული გაკვეთილების, გამოცდილებების და მომავლის შესახებ საუბრისას, რესპოდენტები ძირითადად აქცენტს მშვიდობის მნიშვნელობაზე, მეზობელი სახელმწიფოების მოქმედებებზე და ლიდერების პასუხისმგებლობაზე აკეთებენ; თან არა მხოლოდ სომხეთის ახლანდელი ლიდერი ფაშინიანის, არამედ წინამორბედებისაც:**

*„ომი დასრულდა და ახლა კიდევ ახალი ომისთვის ემზადებიან. გამოსავალი არ იქნება სანამ პუტინი ცოცხალია, დაველოდოთ შემდეგ ბრძანებას. სარგსიანმა და ქოჩარიანმა ისეთი შემკვიდრება დატოვეს, რომ სხვა გზა (გულისხმობს რუსეთს) არ არსებობს. გაყიდეს მთელი სომხეთი რუსეთზე. სომხეთის მეტალურგის ქარხნები და საბადოები რუსი ოლიგარქების ხელშია. ერთმა ფაშინიანმა რა უნდა გააკეთოს. არჩევნების გამარჯვების შემდეგ უნდა იმოქმედოს ფაშინიანმა. სარგსიანის და ქოჩარიანის ადგილი ციხეშია“ (ინტერვიუ სოფლის აქტივისთან, 54 წლის).*

თუმცა ინტერვიუებში წამყვანი ნარატივი მშვიდობის უალტერნატივობაზე და მის მნიშვნელობაზე კეთდებოდა:

*„ომი ყველაზე საშიში მოვლენაა მსოფლიოში და ამ ყველაფრის გაკვეთილი შეიძლება იყოს მშვიდობაზე ფიქრი და მარტო მშვიდობიანი მოლაპარაკებების მეშვეობით ყველა საკითხის მოგვარება... გამოსავალი ერთია - მუდმივი განვითარება და ომის ნაცვლად მშვიდობაზე ფიქრი. ძალიან მნიშვნელოვანია კავკასიის ქვეყნებმა დაიწყონ ფიქრი კავკასიის მოსახლეობაზე, რადგან კავკასია ადგილმდებარეობით ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და აღმოსავლეთის და დასავლეთის შემაკავშირებელია ყველა მხრივ. კონფლიქტები შექმნილია ზუსტად ამ კავშირის წასაშლელად და დასასუსტებად, რათა მუდმივი კონფლიქტები იყოს კავკასიის რეგიონში არასტაბილურობის მიზნით. გამოსავალი სტაბილურობაზე ფიქრია“ (ინტერვიუ, აქტივისტთან 35 წლის).*

საქართველოს სომხურ თემში ყარაბაღის და ზოგადად კავკასიის მომავალზე საუბრისას, ახსენებდნენ სომხეთის არჩევნებს. რესპოდენტების ნაწილისთვის ფაშინიანის მმართველობა იყო მისაღები და მისგან ელოდნენ სომხეთისთვის სასიკეთო ცვლილებებს, ხოლო ნაწილის აზრით, სომხეთისთვის უმჯობესი იქნებოდა „ძლიერი ხელის“ მმართველობა, რომელიც ასეთ მძიმე მარცხს და კაპიტულაციას ააცილებდა ქვეყანას. თუმცა რესპოდენტები ერთსულოვნები იყვნენ აზერბაიჯანის სახელმწიფოს შეფასებებში. მათი ხედვით, ეს არის მილიტარისტული, აგრესორი სახელმწიფო და არც მომავალში არ აქვთ მოლოდინი, რომ აზერბაიჯანი გადახედავს თავის მიდგომებს და სამშვიდობო ინიციატივებს გამოიჩინს.

ინტერვიუებში ასევე ცალსახად უარყოფითად შეფასდა კავკასიის რეგიონის მეზობელი სახელმწიფოების: რუსეთი და თურქეთის როლი ყარაბაღის ომში და კავკასიის მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

*„არა მარტო საქართველომ, ყველა სახელმწიფომ თავის მოქმედებებში უნდა მოიფიქროს, რატომ ყიდნიან იარაღს რუსეთი, თურქეთი, ისრაელი აზერბაიჯანს და სომხეთს. არ უნდა იყიდონ მათგან იარაღი, რუსეთი და თურქეთი არიან მკვლელი სახელმწიფოები“ (ინტერვიუ ახალგაზრდა აქტივისტთან 24 წლის).*

**მომავალზე საუბრის დროს მოსაუბრეებს გამოსავლად, ძირითადად, კავკასიაში ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, ეკონომიკური კავშირების გაძლიერება და საერთო სტაბილურობაზე ზრუნვა ესახებოდათ. თითქოს შეიქმნა მოსაზრება ყარაბაღის ომის პარალელურად, რომ საქართველო, სადაც ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ შესაძლოა იყოს ნიმუში კავკასიის მშვიდობიანი მომავლისთვის. თუმცა ჩვენ მიერ გამოკითხული სომხური თემის წევრები ამ მოსაზრებას სკეპტიკურად აფასებენ:**

*„არა მგონია, აქ ვითარება სხვაა. საქართველოს ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები არ არიან აგრესიულად განწყობილი ერთმანეთის მიმართ. აქ არაა ტერიტორიული კონფლიქტი, ამიტომ ვფიქრობ, ვერ იქნება მაგალითი საქართველო ამ შემთხვევაში. ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოში ცხოვრობენ, საქართველოს მოქალაქეები არიან, გასაყოფი არაფერი არ აქვთ, ბევრ შემთხვევაში მეგობრობენ ერთმანეთთან და ერთად ცხოვრობენ. სომხეთის და აზერბაიჯანის შემთხვევაში არ არის ეგრე, გასაგები მიზეზის გამო“ (ინტერვიუ ახალგაზრდასთან, 29 წლის).*

რესპოდენტები მუდმივად ხაზგასმით და ლოგიკურად გამოყოფდნენ იმ განსხვავებებს, რაც არსებობს საქართველოში სომხებისა და აზერბაიჯანელების თანაცხოვრებასა და ყარაბაღის ვითარებას შორის:

*„საქართველოში რაც ხდება კარგი მაგალითია, მაგრამ ყარაბაღში არ გამოდგება, რადგანაც იქ აზერბაიჯანელი ბაქოში ცხოვრობს ისე, რომ სომხეთი არის მისი მტერი, ხოლო სომხეთში იგივე ხდება. ერთმანეთთან არიან მარტო დარჩენილები და ამიტომ ეს მაგალითი არ გამოდგება. სომხები აზერბაიჯანის სახელმწიფოს აღვიქვამს მტრად, მაგრამ აქაურ აზერბაიჯანელებს არა“ (ინტერვიუ სკოლის მასწავლებელთან, 64 წლის).*

ანალოგიურად ასაბუთებდა საქართველოს მაგალითად გამოყენების შეუძლებლობას კიდევ ერთი რესპოდენტი:

*„ჩვენ საქართველოში უმცირესობებში ვცხოვრობთ და უფრო შემწყნარებელი ცხოვრების სტილი ვაძეგობინებთ და არ გვინდა კონფლიქტი. აზერბაიჯანელები და სომხები თავიანთ ქვეყნებში ცხოვრობენ და არ არიან უმცირესობაში. ინტერესებიც სხვაა და ეს მტრული განწყობა დღითიდღე უფრო გაღრმავდება ამ ორ სახელმწიფოს შორის, ამიტომ შეუძლებელია ჩვენ ვიყოთ მაგალითი“ (ინტერვიუ მასწავლებელთან, 64 წლის).*

ამკარაა, რომ საქართველოს, სომხურ თემზე ყარაბაღის ომმა, მძიმე ემოციური გავლენა იქონია. ბევრი საქართველოს მოქალაქე სომეხი, როგორც ჩანს საკუთარ მარცხად აღიქვამს ყარაბაღის მეორე ომში სომხეთის დამარცხებას. ამას ამძაფრებს კონფლიქტში თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის გაცხადებული მხარდაჭერა, რაც სომხურ-თურქული ურთიერთობების მძიმე წარსულის გათვალისწინებით განსაკუთრებულად ტრავმულად არის აღქმული, მათ შორის, საქართველოში მცხოვრები სომხებისთვისაც. წაგებული ომის და სომხეთში პოლიტიკური კრიზისის ფონზე საქართველოს მოქალაქე სომხებს უჭირდათ ყარაბაღთან და კავკასიასთან მიმართებაში რაიმე პოზიტიურ მომავალზე საუბარი. ამ ფონზე მათთვის, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოჩინდა რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება.

ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ, საქართველოს სომხურ თემში ომის შესახებ განხილვები არ მიწვევებულა. ჯავახეთის ახალგაზრდების ფონდმა ომში გარდაცვლილი ჯარისკაცების (18 ჯარისკაცი), რომლებიც წარმოშობით საქართველოდან იყვნენ, სურათების და სიის მოგროვება ახალქალაქის ჯვრის ეკლესიის ეზოში დაიწყო.<sup>109</sup> ხოლო, ადგილობრივების ინფორმაციით, რამდენიმე საქართველოს მოქალაქე, რომელიც მეორე ყარაბაღის ომში იბრძოდა, ომის დასრულების შემდეგ დაბრუნდა საკუთარ სოფელში და ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ ცხოვრებას.

## შერეულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განწყობები

აზერბაიჯანელი და სომეხი თემები, ქართველების შემდეგ, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ. თუმცა როგორც უკვე ითქვა, მოსახლეობის უმრავლესობა ერთმანეთისგან დამორებულად, შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში ცხოვრობს. ამ კუთხით გამონაკლისია მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც გვხვდება შერეული სოფლებიც კი, სადაც ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები თანაცხოვრობენ.

<sup>109</sup> მთიან ყარაბაღში გარდაცვლილი ჯარისკაცების სიას ახალქალაქში ყოველდღიურად ანახლებენ <https://tv9news.ge/ka/component/content/article/77-2016-12-24-11-50-07/23249-mthian-yarabaghshi-gardacvlili-jariskacebis-sias-akhalqalaqshi-yoveldghiu-rad-anakhleben>

ასეთია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლები: ხოჯორნი და წოფი. სოფელ წოფში მოსახლეობის უმრავლესობას აზერბაიჯანელები, ხოლო ხოჯორნში უმრავლესობას - სომხები წარმოადგენენ.<sup>110 111</sup> აღსანიშნავია, რომ დოკუმენტზე მუშაობის დროს, სავლელ ვიზიტების ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები ამ სოფლების მოსახლეობასთანაც.

ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სოფელში მოსახლეობა ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობს. მათ შორის ყოველდღიური პრობლემების მოგვარების პროცესში სოფლის მოსახლეობა ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობს. ხშირია რელიგიური და სხვა ტიპის დღესასწაულების ერთმანეთისთვის მილოცვა. სოფლის საჯარო სკოლა არის ის სივრცე, რომელიც გაზიარებულია ორივე თემის მიერ. უნდა ითქვას, რომ ომის მიმდინარეობის დროს, სკოლის მასწავლებლების გადაწყვეტილებით, სკოლაში ომის საკითხის განხილვებზე უარი ითქვა.

**ამასთანავე, სოფლებში სადაც ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ, ომმა ურთიერთობები ნაწილობრივ დაძაბა.** ერთ-ერთი ასეთი სოფლის მაცხოვრებელი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი აცხადებს, რომ განხილვები ომის შესახებ სოფელში ჩუმად მიმდინარეობდა. ამასთანავე, ომის დასრულების დღეს, სოფლის აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ ომში აზერბაიჯანის გამარჯვება იზეიმა, რამაც ადგილობრივი სომხების უკმაყოფილება გამოიწვია.

*„გადავიხადეთ ყარაბაღის აღების დღე. დავკალით საღვთო და გავუშვით ფეირვერკები, სუფრა სოფლის ცენტრში იყო გაშლილი, სადაც ჩამოვკიდეთ აზერბაიჯანის და საქართველოს დროშები, ასევე, მანქანებში მუსიკა მაღალ ხმაზე იყო ჩართული. ამ ყველაფერმა ჩვენი მეზობლები გაადიზინა. ჩვენ კი ვთქვით, რომ ვისაც არ მოსწონს შეუძლია სახლში შევიდეს; დაძაბულობა და დაპირისპირება არ ყოფილა“ (ინტერვიუ შერეული სოფლის მკვიდრთან, 28 წლის).*

ამ სოფლების მაცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ სოფელში არ არსებობს დაძაბულობა. უფრო მეტიც, ხშირად ქორწილებში და ქელეხებში სოფელი ივიწყებს ეთნიკურ ხაზებს, ერთიანდება და გაზიარების და მეგობრობის გამოცდილებებს ქმნის. ყარაბაღის მეორე ომის გავლენების შესახებ საუბრისას, ნათლად ჩანს, რომ ამ სოფლებში მცხოვრებ არცერთ თემს არ სურს მშვიდობის და თანაცხოვრების ამ პრაქტიკის მოშლა. ერთ-ერთი რესპოდენტი აცხადებს, რომ „რაც იქ ხდება, დარჩეს იქ და აქ არ გადმოვიტანოთ“.

შერეულ სოფლებში ვიზიტების დროს, გამოჩნდა, რომ არც კონფლიქტის დროს და მის შემდგომ, სახელმწიფოს არ გადაუდგამს პოზიტიური ნაბიჯები ამ სოფლებში შესაძლო ეთნიკური დაპირისპირებების თავიდან აცილების მიზნით. ხოლო, ომის დროსაც კი სიმშვიდის და მშვიდობის შენარჩუნება, ორივე თემის წინდახედულობის, რაციონალურობისა და სიბრძნის შედეგი იყო; თუმცა ამკარაა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მუშაობა ამ მშვიდობიან თანაცხოვრებას კიდევ უფრო გააძლიერებდა.

<sup>110</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი წოფი  
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98>

<sup>111</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხოჯორნი  
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98>

## შეჯამება და რეკომენდაციები

ყარაბაღის მეორე ომის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გავლენების და შედეგების გლობალური შეფასება ჯერ კიდევ რთულია და მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას და ანალიზს. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ცხოვრება, როგორც ომის მიმდინარეობისას, ასევე ომის შემდგომ პერიოდშიც, გარკვეულწილად შეიცვალა. უნდა ითქვას, რომ ომის მიმდინარეობისას საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი თემის ინტერესები და გრძნობები აქტიურად იყო ჩართული და დაკავშირებული ომის საკითხებთან. 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კი არ იყო ამ კუთხით გამონაკლისი. ადგილობრივი თემების მხარდაჭერას ომში ჩართული მეზობელი ქვეყნების მიმართ მეტწილად მორალურ და ჰუმანიტარულ შინაარსს ატარებდა, თუმცა არსებობდა მაღალი ინტერესი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისი ზომების მიღებით არ დაუშვა.

თუ შევაფასებთ ომის გავლენებს საქართველოში მცხოვრებ სომეხ და აზერბაიჯანელ თემებზე, ის შემდეგნაირად გამოიყურება, - საქართველოს აზერბაიჯანულ თემში, ომის გავლენებზე საუბრისას, სამი საკითხის ხაზგასმას აუცილებელი:

1. საქართველოს აზერბაიჯანელი თემი უმეტესად აზერბაიჯანის სახელმწიფო მედიასაშუალებების ნარატივებს იზიარებდა, გამოირჩეოდა პრო-აზერბაიჯანული განწყობებით და ეხმარებოდა აზერბაიჯანს ფინანსურად და მორალურად (ფინანსური გზავნილები, მიტინგები, დემონსტრაციები და ა.შ.);
2. საქართველოს აზერბაიჯანელი თემი საქართველოს სახელმწიფოს ნეიტრალურ პოზიციას პოზიტიურად აფასებდა და მიაჩნდათ, რომ ეს ნეიტრალიტეტი სინამდვილეში აზერბაიჯანის სახელმწიფოს მხარდაჭერა იყო;
3. საქართველოს აზერბაიჯანელ თემში აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ ყარაბაღის მეორე ომში გამარჯვებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მათი თავდაჯერებულობა და ეთნიკური სიამაყე.

ხოლო საქართველოს სომეხ თემში ომის გავლენებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ:

1. საქართველოს სომეხი თემი უმეტესად სომხეთის სახელმწიფო მედიასაშუალებების ნარატივებს იზიარებდა, გამოირჩეოდა პრო-სომხური განწყობებით და ეხმარებოდა სომხეთს ფინანსურად და მორალურად (ფინანსური გზავნილები, მიტინგები, დემონსტრაციები და ა.შ.);
2. საქართველოს სომეხი თემი საქართველოს სახელმწიფოს ნეიტრალურ პოზიციას ნაწილობრივ პოზიტიურად აფასებდა, თუმცა მიაჩნდათ, რომ ეს ნეიტრალიტეტი სინამდვილეში სომხეთის მარტოდ დატოვებას ნიშნავდა;
3. სომხეთის ომში დამარცხებამ საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების სომხეთთან მიჯაჭვულობა და სომეხი ხალხის მსხვერპლად დანახვა კიდევ უფრო გააძლიერა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის მეორე ომმა საქართველოს ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და სომეხებს შორის ურთიერთობები დროებით დაძაბა. ომის

მიმდინარეობის პერიოდში, ხშირი იყო დაპირისპირებები სოციალურ ქსელებში. დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტიც. თუმცა, იყო გულდაწყვეტით იმის აღნიშვნაც, რომ რამდენიმეწლიანი მეგობრობები ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ომმა დაასრულა.

ომის დროს საქართველოს აზერბაიჯანელებისა და სომხების მეზობელ ქვეყნებთან ემოციური კავშირების გაძლიერება ერთი მხრივ, უკავშირდება დომინანტურ ისტორიულ და პოლიტიკურ წარმოდგენებს, რომელიც საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს მუდმივად მეზობელ ქვეყნებთან კავშირში განიხილავს; მეორე მხრივ კი, კონფლიქტთან, მარცხთან და მსხვერპლთან დაკავშირებული ისტორიულად ჩამოყალიბებული გრძნობითი სტრუქტურით. იგი წლების განმავლობაში კულტივირდება ომში ჩართული სახელმწიფოების მილიტარისტული პროპაგანდით და რომლის გააზრებასა და განმუხტვას საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებთან შესაბამისი საინფორმაციო, საგანმანათლებლო პოლიტიკით არ უზრუნველყოფს.

საქართველოს დამოუკიდებლობიდან 30 წლის შემდეგაც კი არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის სამართლიანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს შექმნა და საჯარო ცხოვრებაში მათი მოქალაქეობის სრულყოფილი აღიარება და მონაწილეობა პრობლემური რჩება, რაც ცხადია, მათ კავშირებსა და მიჯაჭვულობას საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ სივრცესთან ასუსტებს. უფრო მეტიც, პოლიტიკურ რიტორიკაში საქართველოს აზერბაიჯანელები და სომხები ხშირად რეპრეზენტირებულები არიან როგორც დიასპორა, რომლის ისტორიული სამშობლო შესაბამისად აზერბაიჯანი და სომხეთია. მკვეთრად პრობლემური იყო არჩევნების პროცესში ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკოსების მხრიდან ომის მდგომარეობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება და კონფლიქტში ჩართული სახელმწიფოების ოფიციალური პოზიციების შემოტანა და გავრცელება ჩვენს მოქალაქეებზე. ეს პოლიტიკური წარმოდგენები არსებითად მცდარია და პრობლემური, რადგან გარდა იმისა, რომ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის მატრიცას იმეორებს და საქართველოში ისტორიულად მცხოვრები ხალხების გაუმართლებელ დისტანცირებას და იერარქიზებას ახდენს, ის მოქალაქეობის, ასევე თანამედროვე სახელმწიფოს იდეას ეწინააღმდეგება და ართულებს ინკლუზიური და თანასწორი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას.

სუსტი ინტეგრაციისა და ასევე ომთან დაკავშირებული ისტორიულად ჩამოყალიბებული (და კვლავწარმოებული) ტრავმების მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სომხები და აზერბაიჯანელები ინარჩუნებენ მშვიდობას და აცნობიერებენ საქართველოში მათ განსხვავებულ მისიასა და ძალაუფლებრივ კონფიგურაციას. საგულისხმოა, ხაზი გაესვას იმ უნიკალურ თანაცხოვრებასაც, რომელიც ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ქვემო ქართლის რეგიონის რამდენიმე სოფელში არსებობს. გარკვეული ემოციური დაძაბულობის მიუხედავად, ამ ადგილებზე მცხოვრებმა თემებმა კონფლიქტის მიმართ ძლიერი მედეგობა გამოავლინეს და ადგილზე მშვიდობა შეინარჩუნეს.

შერეულ სოფლებში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებასა და საზიარო კულტურული და სოციალური სივრცეების არსებობას რამდენად შეიძლება ჰქონდეს ყარაბაღის კონფლიქტისთვის პოზიტიური მოდელის მნიშვნელობა, რთული სათქმელია, ძირეულად განსხვავებული ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტების გამო. ამის მიუხედავად, სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლება დამატებით ღონიძიებებს არ

მიმართავს ამ სოფლებში მშვიდობის და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის და ამ გამოცდილების პოპულარული რეპრეზენტაციისთვის. უფრო მეტიც, ამ სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ ბაზისური გამოწვევები სოციალური ინფრასტრუქტურის მიმართულებით და ამავე დროს, აქვთ მიტოვებულობის მაღალი განცდა.

ამდენად, მიკრო დონეზე მშვიდობისა და ჩვენი მოქალაქეების მიერ გამოვლენილი წინდახედულების მიუხედავად, ინტეგრაციის სისუსტე და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური გაუცხოება, ნდობის კრიზისი და სოციალური იზოლაცია მაკრო ფაქტორია, რომელიც ჩვენი მოქალაქეების მედეგობას კონფლიქტების მიმართ ასუსტებს. ცხადია, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს რეალობა საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრაციის მრვალმხრიანი პროცესის რადიკალურ გაძლიერებას და ამ კუთხით კომპლექსური რეფორმების გატარებას ითხოვს. არსებითია, ინტეგრაციის პოლიტიკაში ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული სოციალური რისკები გათვალისწინებული იყოს, ამასთანავე საქართველოს სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და კავშირების გაძლიერებას თუ მშვიდობის იდეების კულტივირებას სახელმწიფომ საგანგებოდ შეუწყოს ხელი.

ქვემოთ წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციები სხვადასხვა რელევანტური აქტორის მიმართ.

### **საქართველოს მთავრობამ**

- მოახდინოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტიზაცია და ინტერ-ეთნიკური სოლიდარობის კულტივირება, როგორც დომინანტ ჯგუფსა და არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ასევე არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის;
- გააძლიეროს სამშვიდობო პოლიტიკაზე მუშაობა, მათ შორის რეგიონალურ კონფლიქტებთან კავშირში, რომელმაც შესაძლოა, ადგილობრივ თემებზე და პრობლემებზე პოზიტიური გავლენა იქონიოს;
- წახალისოს მშვიდობის, სოლიდარობის და თანასწორობის რიტორიკა, მათ შორის საინფორმაციო კამპანიების ორგანიზების გზით.

### **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა**

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმოს კონფლიქტების პრევენციასა და ეთნოსებს შორის ნდობის, დიალოგისა და თანამშრომლობის მშენებლობის საკითხებს;
- პოზიტიური მაგალითების გამოვლენის მიზნით შეისწავლოს საქართველოს იმ დასახლებების სოციალური პრაქტიკა, სადაც საქართველოს მოქალაქე სომხები და აზერბაიჯანელები ერთად ცხოვრობენ და გადაკვეთებისა და თანაზიარების ყოველდღიური გამოცდილება აქვთ;
- შეიმუშაოს კონფლიქტების მოგვარების შესახებ მშვიდობაზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია და აქტიური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამებით იმუშაოს შესაბამის თემებში;
- ინტერ-ეთნიკური და რელიგიური დიალოგისა თუ თანამშრომლობის მხარდაჭერისთვის ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე შექმნას საკონსულტაციო საბჭოები და სხვა პლატფორმები.



### **შინაგან საქმეთა სამინისტრომ**

- გაზარდოს საკუთარი თანამშრომლების ცოდნა და სენსიტიურობა კონფლიქტების მართვისა და ტრანსფორმაციის საკითხებში მრავალფეროვან ეთნიკურ და რელიგიურ თემებში;
- წახალისოს თემზე ორიენტირებული საპოლიციო მიდგომები და იმუშაოს ნდობის შენებაზე უმცირესობების თემების შიგნით;
- იმუშაოს მრავალფეროვან თემებში კონფლიქტების, დაძაბულობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკის გაძლიერებაზე.

### **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ**

- იმუშაოს სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოების (ენა და ლიტერატურა) საქართველოში შექმნაზე და დანერგვაზე, რომელიც მკვიდრ წარმოდგენებს დაეფუძნება;
- გაზარდოს სასკოლო სახელმძღვანელოებში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების რეპრეზენტაცია და ხაზი გაუსვას ამ ჯგუფების ისტორიულ და მშვიდობიან თანაცხოვრებას საქართველოში;
- გააძლიეროს მშვიდობის დისკურსი და სენსიტიურობა განათლების პოლიტიკაში;
- გაზარდოს განათლების სერვისები (მათ შორის, ქართული ენის სწავლების სერვისების, მასწავლებელთა კონტიგენტების, სასწავლო რესურსების, ბიბლიოთეკების ოდენობა) არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის შესაბამის სკოლებში/სექტორებში;
- დანერგოს მშვიდობის მხარდამჭერი სპეციალური პოზიტიური პრაქტიკები იმ სოფლებში, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი თანაცხოვრობს.

### **ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (სადაც ეთნიკური ჯგუფები თანაცხოვრობენ)**

- გაატარონ ადგილობრივი თემების რეალურ სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- შეიმუშავონ და წარმართონ ეთნიკურად თუ რელიგიურად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში მულტიკულტურული, ინკლუზიური პოლიტიკები და პროგრამები;
- შექმნან ინტერ-ეთნიკური და ინტერ-რელიგიური საბჭოები, სადაც სხვადასხვა ჯგუფი შეძლებს დიალოგს, თანამშრომლობასა და საერთო სოციალურ თუ კულტურულ პრაქტიკებში ჩართვას;
- შეამცირონ და დააზღვიონ ისეთი რისკები, რომლებიც შესაძლოა ყოფილი საკითხებიდან (საძოვრები, წყალი, მიწა და ა.შ.) ეთნიკური კონოტაციის მქონე კონფლიქტებად გადაიქცეს.

### **საზოგადოებრივმა და დონორმა ორგანიზაციებმა**

- გააძლიერონ საკუთარი მუშაობა რეგიონებში, განსაკუთრებით მრავალფეროვან რეგიონებში და მათი პროგრამებისა და პროექტების მიზანი/შინაარსი რეალურ ადგილობრივ საჭიროებებს, წუხილებს და ინტერესებს დაუახლოვონ;
- ეთნიკური კონოტაციის მქონე კონფლიქტების ადგილებში გააძლიერონ მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე მიმართული პროგრამები და დღის წესრიგში მიზნად დასახონ ამ მიმართულების პრიორიტეტიზაცია.

## მედიაორგანიზაციებმა

- გააძლიერონ ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონების სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გამოწვევების სისტემური გაშუქება და მათ შორის, ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობების თემებისა და წარმომადგენლების ხილვადობის გაზრდას;
- გააძლიერონ მშვიდობაზე, თანასწორობაზე, ინკლუზიაზე, დემოკრატიაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და პოლიტიკური გადაცემები, ამასთანავე ხელი შეუწყონ ამ იდეების სხვაგვარ პოპულარიზებას.